საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

კვირა, 22 აგვისტო 1920 წ.

# ერთობა

ფასი 10 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 250 მანეთი. ცალკე ნომერი ფასდება 10 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 მანეთი, მეოთხე გვერდზე 10 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივ ზომის (15 × 2) 300 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან. ტელეფონი 16—62

№ 190 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 190

ქ. ლანჩხუთში არსდება ბ-ნ ფინანსთა მინისტრის ნებართვით

## გურიის სავაჭრო კომერციული ბანკი

რომლის ძირითადი თანხა არის ორი მილიონი მან. თითო აქცია ღირს 1000 მან. და საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად 50 მან. ერთი ხმის უფლებას ანიჭებს 5 აქცია. ამ თავითვე შემოტანილ უნდა იქმნას აქციის ნახევარი ღირებულება 550 მან. და საორგანიზაციო ხარჯებისთვის 50 მან. ე. ი. 550 მან. თითო აქციაზე.

საზოგადო ოფიციალური ხელის მოწერა აქციებზე და ფულის შემოტანა დანიშნულია: 6—ორშაბათს, 7—სამშაბათს, 8—ოთხშაბათს, 9—ხუთშაბათს, და 10—პარასკევს ამა სექტემბერს. ლანჩხუთში: საურთიერთო ბანკში. თფილისში: ცენტრო-ბანკში. ქუთაისში: ვლადიმერ იაგორის ძე გვარჯალაძესთან. ფოთში: ერმალო ბოლქვაძესთან. ბათომში: მოსე იაგორის ძე გვარჯალაძესთან. ოზურგეთში: ედიხვან თიდიძესთან. სამტრედიაში: სიმონ სპირიდონის ძე ქართველიშვილთან. და სუფსაში კონსტანტინე ჭანტურიასთან. ყოველივე შეკითხვის გამოგზავნა შეიძლება ლანჩხ. საურთ. ბანკში.

გურიის სავაჭრო ბანკის საორგ. კომიტეტი. (2723—5—1)

სრულიად გაუბედურებული მშობლები ლევ ნ ვლადიმერის ძე და მარიამ პეტრეს ასული ჩიქოვანები უღრმეს მადლობას სწირავენ ყველას, ვინც პირადათ ანუ დეპეშით თანაგრძნობა გამოუცხადა მათ ერთად ერთი ნუგეშის

### თ ა მ ა რ ი ს

დაკარგვის გამო. განსაკუთრებულ მადლობას უძღვნით განსვენებულის ამ ანაგებს, რომელნიც დასაფლავებამდე განსვენებულის ცხედარს თავს დასტრიალებდნენ. (2724 1 1)

ღრმად დამწუხრებულნი: ნინო გურიელისა, მარიამ მიქაძისა, ტელემაკ გურიელი, ბესარიონ მიქაძე და მათი შვილები, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობ-მეგობრებს, რომ ქ. ქუთაისში გარდაიცვალა პირველთა ძვირფასი მამა, მეორეთა სიმამრი და უკანასკნელთა ძვირფასი ბაბუა

### სიო გიორგის ძე ზერიძე

(279: 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი დედა პელაგი, და ნინა, ძმები მიხეილ და ვალიკო მწუხარებით ვაუწყებთ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას ოცდა ორ აგვისტოს, დილის ცხრა საათზე, გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო მათთვის დაუვიწყარ

### სიმონ მიხეილის ძე ქავჟარაძის

სულის მოსახსენებლად. ქალ. ფოთში, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში.

დღიდან გარდაცვალებისა 6 თვის შესრულების გამო 22 მარიობისთვეს დღით კვირას, სოფელ საჭილაოში ნამწარეულის წმინდა გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი ახალ ცხოვრებას უდროვოდ მოწყვეტილი მე 8 კლასის მოწაფის

### გივი (გიორგი) ვიქტორის ძის კორძაიას

სულის მოსახსენებლად, რასაც ღრმა მწუხარებაში მყოფნი უბედური დედა ელისო, და მარიამ, და ძმები ლეონიდ, ემანუილ და ვიქტორ კორძაიები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობებს და მეგობრებს. წირვა დაიწყება დილის 0 საათზე, პანაშვიდი საღამოს 5 საათზე.

ქ. კოჯორში კლუბი „სალხინო“

კვირას 22 აგვისტოს 1920 წ. გვარდიის ცხენოსან პოლკის დახოცილ გვარდიელთა ოჯახების სასარგებლოდ და კულტურ.-განმანათლ. სექციის ღონისძიებათა გასაძლიერებლათ დღის 12 საათიდან შესდგება

## გრანდიოზული სეირნობა

ბავშვთა დღესასწაულით: თამაშობა, ცეკვა, მსვლელობა შევარდნების მონაწილეობით. საღამოს 8 საათიდან

## დიდი კონცერტი

სახელმწიფო ოპერის მსახიობთა მონაწილეობით. იმღერებენ: ბ. ი. ზალიპსკი, ლ. ნ. ისეცკი, ბოშათა რომანსების ცნობილი მომღერალი ქალი

### თამარა წერეთლისა

ოპერეტის მსახიობნი: ე. ქუბა, ოსიპოვი და მომღერალთა გუნდი გვარდიის ცხენოსანთა პოლკისა მ. კავსაძის ლოტბარობით. როიალთან ქ-ნი შავერზაშვილი.

### 11 საათიდან დიდი კაბარე

სადაც მონაწილეობას მიიღებენ სახელმწიფო ბალეტის და „კრივოი ჯიმმის“ მსახიობნი. ბაღი გაჩირაღდნებული იქნება. დაიდგმება კიოსკები კრუშონისა, ჩაისა, ყვავილებისა, მფრინავი ფოსტა და სხვა. ბაღში დაუკრავს სამხედრო ორკესტრი და ზურნა. საღამოს დიასახლისი ზეკია-ხანუმ ხიმშიაშვილისა.

გამგე პოლკოვნიკი დ. წერეთელი. (უ. 2—2)

მიწათ-მოქმედების სამინისტროს მიერ

ა. წ. 1 სექტემბრიდან იხსნება

## მებოსტნეობის პრაქტიკული სკოლა

პირობებისა და ცნობების მიღება ყოველ დღე 8—12 საათამდე. (მუშტაიდის შესახვევი № 4. ყოფილი საბაღოსნო სკოლა). (ნ. 12—6)

## ახალი გამოცემანი

საქ. მასწავლებელთა კავშირისა,

1) **შრომის სკოლა** გ. კერშენშტეინისა . . ფ. 25 მ.
2) **ძერწვა**, სურათებიანი სახელმძღვანელო ბავშვებისათვის, ნაწილი პირველი . . . . . ფ. 35 მ.
3) **საკლასო ჟურნალები**, (50 მოწაფეზე) . . ფ. 150 მ.
4) **ბლანკები გაკვეთილების გან წილებისათვის** ფ. 5 მ.

იბეჭდება და მალე გამოვა:

5) **თავისუფალი აღზრდის თეორია და იდეალური საბავშო ბაღი**. ლექციები კ. ნ. ვენტცელისა, ნაწილი პირველი.
6) **ქართული მოძრავი ანბანი** (კარდონზე).
7) **კედლის სურათები**, (პლაკატები) ზომით თითო 12—16 ვერშ. წერა-კითხვის თვალსაჩინოდ სწავლისათვის, სულ ხუთი სურათი, ამათგან ერთი ფერადია.

**შენიშვნა:** ვინც ასობით წაიღებს, დაეთმობათ 20 პროც.

მისამართი: თფილისი, დამფუძნ. კრებ. ქ. № 5, მასწავლებელთა ბიურო. (2721 4—2)

საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის

## ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79

### მეორე ქართული კლუბი

(პლეხანოვის პრ. № 129).

ო რ შ ა ბ ა თ ს ა გ ვ ი ს ტ ო ს 23

## სიცილის საღამო

1. **სცენები მომრიგებელ მოსამართლესთან:** ა) დიფლომაცია, ბ) მეკუბოვენი— **სლეპცოვისა**.
2. **დაიმსახურა.** კომიკ. მინიატ. **ტეფფისა**.
3. **დივერტისმენტი:** 1) 4 კავალერის სერენადა ერთ ქალთან 2) პოლკა 3) პატარა ბალერინები, 4) მხიარული სიკვდილი (კოლომბინადა) 5) ვანკასტანკა, 6) საყვარელი ჯენტელმენების კაპელლა და სხვა. (ნ. 1—1)

## ფრანგული ლიცეი თფილისში

რომელიც დამტკიცებულია და სუფსიდიას ღებულობს საქართველოს და საფრანგეთის მთავრობისაგან. პარიზის ლიცეების პროგრამით. წლიური სწავლის ფასი 8000 მ., აქედან 1000 მ. შეტანილი უნდა იქნას ჩაწერის დროს. საქართველოს რესპუბლიკის ქვეშევრდომ ღარიბ მოწაფეთათვის სწავლის ფასი დაკლებული იქნება საქართველოს მთავრობის ხარჯზე. ბავშვები მიიღება განურჩევლად სქესისა; მოსამზადებელ კლასში გამოუცდელად. I კლასში მიღების დროს უპირატესობა მიეცემა—ვისაც ექნება მოწმობა პირველ დაწყებით სასწ. 4 კლ. დასრულების შესახებ. ვისაც მოწმობა არ ექნება მიღება გამოცდით. 2, 3 და 4 კლასებთან სპეციალურად მოწყობილი იქნება განყოფილებანი, იმათთვის, ვინც ფრანგულ ენაში სუსტი.

ლიცეი გაიხსნება მიმდინარე წლის 1 ოქტომბერს.

ჩაწერა ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. უმაღლეს ფრანგულ კურსების დირექციასთან, რტიშჩევის ქ. № 22. (2643—4—2)

## მუშათა მაგიდა

აცხადებს, რომ სიების და საალფავიტო ბარათების წარმოდგენის ვადა

### გაგრძელებულია 25 აგვისტომდე

სიები და საალფავიტო ბარათები უნდა იქნეს წარმოდგენილი ჯგუფობრივ. ვინც ამ ვადაში არ წარმოადგენს სიებს, მათ პური არ მიეცემათ.

მუშათა მაგიდა. (ნ. 3—1)

ქუთაისში დაბრუნდა ექიმი

### მ. ი. ვოლოხი

და განაახლა მიღება ქალ. შინაგ. და ვენერ. ავათმყოფებისა. მიღება დილის 10—12 საათ. და საღ. 4—7-დის, ფრანგების მოედანი № 33. (2614—თ.)

## ზავი რუსეთთან

რამდენიმე თვეა რუსეთთან ზავი შევკარით. გაწითლებულ ადერბეიჯანთანაც მცირე შეტაკების შემდეგ მშვიდობიანობა ჩამოვაგდეთ. ურთიერთის დათმობით და კეთილ-მეზობლურ სურვილით იყო თითქოს გამოწვეული ეს ზავი. მაგრამ ამ ზავს რაღაც არაზავის ელფერი ადევს, ზავი ნიშნავს არა მარტო სამხედრო მოქმედების შეწყვეტას, არამედ ნორმალურ ურთიერთობის დამყარებას ცხოვრების ყველა სფეროში.

პირველად ყოვლისა ზავის შემდეგ ისპობა ურთიერთის წინააღმდეგ ხალხის მისისიანება, აგიტაცია, საზოგადოებრივი აზრის საომრად დამუშავება. და მის ადგილს იჭერს სურვილი და პრაქტიკა ეკონომიურ კავშირის, გაცვლა-გამოცვლის, მისვლა-მოსვლის.

და თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ საკითხს, უნდა აღვიაროთ, რომ რუსეთთან და განსაკუთრებით ადერბეიჯანთან ოდნავათაც ნორმალური ურთიერთობა არა აქვს.

მიმოსვლა გაძლიერებულია. ადერბეიჯანში საქართველოს მოქალაქეებს ისე ეპყრობიან, როგორც მტრის მოქალაქეთ და ისე სდევნიან, რომ ისინი იძულებული არიან ყოველივე საცხოვრებელ-საბადებელი დასტოვონ და ხელცარიელი, დიდის წვალებით გამოეშურონ საქართველოსაკენ. რუსეთთანაც მიმოსვლა წესიერ კალაპოტში ვერ ჩამდგარა. ყველა ცნობებით რომელიც ჩვენს ხელთ არის რუსეთიდან მოდის მხოლოდ ჩვენი საწინააღმდეგოთ საავგიტაციო საშუალებანი და თანხები, რომელთაც მიზნათ აქვთ შიგნით შექმნან აუტანელი პირობები.

განაპირა კუთხეებში, როგორიცაა კავკავი, სრულიად ოფიციალური პირები, ოფიციალურ პარადებზე, ჯარის წინ მეტს სალაპარაკოს ვერას პოულობენ, გარდა საქართველოს ძვირის ხსენებისა და მის წინააღმდეგ საომრათ მოწვევისა. ბაქოელი კომუნისტები, ხომ ყოველ გზაჯვარედინზე გაიძახიან, რომ ნეტარებით მოელიან იმ დღეს, როცა თოფზარბაზნის გრიალით მოვლენ თფილისში.

ზავის პირობები არც პოლიტიკური, არც ეკონომიური არ სრულდება: საბჭოთა რუსეთი მაგ. საურთიერთო პირობის ძალით, ვალდებულია არ მისცეს არსებობის ნება თავის ტერიტორიაზე ისეთ ჯგუფებს, რომელნიც საქართველოს რესპუბლიკის და მისი მთავრობის დანგრევას ქადაგებენ ან აწყობენ. კავკავში კი ვხედავთ სულ წინააღმდეგს ოფიციალურ პირებისაგან.

ადერბეიჯანი ზავის დღიდან ერთი თვის განმავლობაში დაგვპირდა მილიონ ფუთ ნავთის გადმოქაჩვას, დღემდე ე. ი. მეორე თვის გასულს ჯერ ერთი გირვანქა ნავთიც არ შემოსულა ამ ნავთის ქვეყნიდან ჩვენში.

სხვა მაგალითი პირობის დარღვევის, აუარებელი შეიძლებოდა მოგვეყვანა, მაგრამ ჩვენ საბრალმდებლო აქტს არ ვწერთ. ჩვენთვის საკმაოა უკვე აღნიშნულიც საერთო მდგომარეობის დასახასიათებლად.

იბადება კითხვა რას ნიშნავს ასეთი მოპყრობა?

საბჭოთა გაზეთები, ერთი-მეორის გაჯიბრებული, ირწმუნებიან, თითქო საქართველო ზავის პირობებით მეტათ უკმაყოფილო იყოს და საომარ გუნებაზე იდგეს.

ჩვენ უნდა გადაჭრით ვაღიაროთ საყოველთაოდ, რომ ეს სრულიად არ შეესაბამება სინამდვილეს, რომ ამის მთქმელს და დამწერს აინტერესებს არა სიმართლე, არამედ მხოლოდ ურთიერთობის გამწვავება ამ ორ სახელმწიფოს შორის.

საქართველოს დემოკრატია თუ რითიმე უკმაყოფილოა, ეს მხოლოდ ზავის პირობების აუსრულებლობით, მისი სისტემატიური დარღვევით. არ დავფარავთ არა დემოკრატიულ წრეებში, როგორიცაა „გრუზია“ და სხვა, თვით ფაქტი ჩვენი რუსეთთან შეთანხმებისა არ იწვევს მოწონებას. მაგრამ „გრუზია“ სრულიადაც არ წარმოადგენს ჩვენი ხალხის რამდენიმეთ მაინც მნიშვნელოვან ნაწილს. მით უმეტეს არავითარი გავლენა არა აქვს მართველობის სფერებზე, და მაშასადამე რესპუბლიკის საერთო პოლიტიკაზე.

მუშათა კლასი კი, რომელიც ბატონპატრონია ჩვენი პოლიტიკის, უკმაყოფილოა მხოლოდ ზავის აუსრულებლობით და იმ ინსინუაციებით რომელსაც მის შესახებ რუსეთსა და ადერბეიჯანში ავრცელებენ.

ჩვენ არასოდეს არ გვსურვებია ომი, თავდასხმა ვისმეზე, არც გვიწარმოებია ასეთი თავდასხმა. არც ვრანგელის, თუ პილსუდსკისთვის მიგვიპყრია ოდესმე იმედიანათ თვალი, ჩვენ დღემდე წარმომადგენლებიც კი არ გვყავს თვით პოლონეთშიც კი, არა თუ ვრანგელთან.

საქართველო თავის ბედს ოდნავადაც არ უკავშირებს მათ პოლიტიკას და ბედს. ასეთ უაზრობას სოციალ-დემოკრატია საქართველოსი არასოდეს არ ჩაიდენს.

ჩვენ ვიცავთ მხოლოდ ჩვენს დამოუკიდებლობას და იმ დემოკრატიულ წყობილებას, რომელიც საქართველოში დავამყარეთ. და შევებრძოლებით ყველას, ვინც თავს დაგვესხმის.

კომუნისტების მოქმედებაშიც ჩვენ ვხედავთ სწორეთ ამ დამოუკიდებლობის და დემოკრატიული წყობილების წ ნააღმდეგ ბრძოლას.

ისინი ვერ შერიგებიან ჩვენს ცალკე არსებობას, და დღესაც ისე გვიყურებენ, როგორც რუსეთის ნაწილს, ამიტომ ზავს ჩვენთან არ უცქერიან საერთაშორისო თვალსაზრისით, და მის დარღვევას საერთაშორისო ეთიკის და უბრალო, მარტივი მორალის დარღვევათ კი არ თვლიან, არამედ საქებურ საქმეთ.

ამ გარემოებას ხელს უწყობენ ჩვენი შინაური კომუნისტებიც, რომელნიც პირველი და უმთავრესი მომხრენი არიან ინტერვენციის ე. ი. უცხო კომუნისტურ ჯარების შემოყვანის საქართველოში და მათი შემწეობით გაბატონების. ერთი სიტყვით სჩადიან იმას, რასაც ვრანგელი რუსეთის მიმართ.

ამ სულის კვეთებას იზიარებენ მოსაზღვრე კომუნისტებიც, რომელთაც ახლო კავშირი აქვთ გაბმული ჩვენს კომუნისტებთან, და რომელთა წრეები შევსებულია აქედან გადასახლებული თუ გაქცეული კომუნისტებისაგან.

და სანამ ეს ელემენტები არ დაემორჩილებიან საერთო პოლიტიკურ ხაზს, რომელიც მოითხოვს მეზობელ სახელმწიფოსადმი პატივისცემას და მეგობრულ ლოიალურ მოპყრობას სანამ ისინი არ გადაეჩვევიან სახელმწიფოს ინტერესების და პარტიულ ანგარიშების ერთმანეთში არევას, მანამდე ნორმალური ურთიერთობა ჩვენსა და მეზობელ კომუნისტურ სახელმწიფოებს შორის ვერ ჩამოვარდება. ეს სამწუხაროა, მაგრამ ეს ფაქტია, რომელსაც წამალი უნდა დასდოს საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელებმა და მისიამ საქართველოში.

ამ მძიმე ატმოსფერის გაწმენდა დარწმუნებული ვართ, დიდ სარგებლობას მოუტანდა ორივე მხარეს. მაგრამ შეისმენენ კი ამას მოჯირითე მეზობელი კომუნისტები?

ჩვენ ეს გვეეჭვება და გვინდა ჩვენ მკითხველსაც გადავსცეთ, რომ მას თვალი ფრთხილათ ეჭიროს.

## პ რ ე ს ა

„კომუნისტი“ ისევ ჩაფრენია ჯავის ოსების საკითხს და მრავალ სიყალბით ავსებს თავის წერილს. ჩვენ ვამბობდით რომ დახვრეტის და გაძლეტის პოლიტიკა—ეს კომუნისტების ხელობაა. გაიხსენონ თუნდა განჯის ამბები, დატრაბახი, ამდენი თათარი დავხოცეთო, გაიხსენონ ყირგიზების, სარტების და თურქმანების ამოჟლეტა თურქესტანში, რომელიც გუშინდელ ჩვენ გაზეთშია ცნობები. გაიხსენონ ოსების ინგუშების და ყაზახების მთელი სოფლების აწიოკება ჩრდილო კავკასიაში მხოლოდ იმისთვის, რომ ისინი კომუნისტები არ იყვნენ.

ეს ყოველი ხომ ფაქტია, თვით კომუნისტური გაზეთებიდან ამოკრეფილი. (სხვა გაზეთი რუსეთში არ გამოდის).

და მკითხველმა თვით დააფასოს ზნეობა ვინც ამის შემდეგ მაინც ეხტიბარ გაუტეხელი გაიძახის: ჩვენ არავინ შევვიწუხებიაო. ჩვენ კი არა არც ძველ რეჟიმსო. ნიკოლოზ-ჯალათსაც კი და უდგენ ვექილათ ჩვენ შესარცხვენათ. მაგრამ აბა ჰკითხონ აფხაზებს, ჩერქეზებს, ინგუშებს. რამდენი მათი მოძმე იქნა განდევნილი ოსმალეთში ამ ნიკოლოზობის რეჟიმის დროს.

მაგრამ... კომუნისტებს ხომ ისტორიის და სამართლის ცოდნა არ მოეთხოვება. და ჩვენ ვერც შევძლებთ ყველა მათ სიყალბეს ვსდიოთ და თვითეული მათგანი ვაამხილოთ.

ჩვენ გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ ფაქტები: ჯავის ოსებს, ისე როგორც სხვა ეროვნულ უმცირესობას საქართველო არასოდეს თავს არ დასხმია, არც შევიწროვება მოუსურვებია მათი, პირიქით მათ ორჯერ აპატივა ჩვენი დემოკრატიის სულგრძელობამ აჯანყების მოწყობა მოღალატურ მიზნით. ერთი ბათომის დაცემის დროს, ერთი შემდეგ.

ახლა მათ მესამეთ მოაწყვეს ჩვენზე თავდასხმა ადერბეიჯანთან ომის დროს. ჩვენ ამას მოველოდით და იქ რაზმი ჩავაყენეთ, რომ შეგვეჩერებია მათი ბოროტი განზრახვა. ნასტრაჟნიკალი ბოლშევიკების შთაგონებით მათ ამჯობინეს თავდასხმა და რაზმი დაატყვევეს. მაშინ ჩვენ იძულებული გავხდით ეს ამბოხების ბუდე გაგვეწმინდა რომ უზრუნველგვეყო ნასტრაჟნიკალი და ნაპრისტავალი პროვოკატორების მუდმივი საფრთხისაგან. მით უმეტეს, რომ ეს ხერხი შეიძლება საბედისწერო გამხდარიყო რესპუბლიკისთვის. ჩვენ რესპუბლიკა ვამჯობინეთ აჯანყებულ ორიოდე თემს.

ბოლშევიკები, ისე, როგორც თვითმპყრობელობა თვით ესხმიან ამა ერებს, იპყრობენ და ანადგურებენ. მაგალითად: თურქესტანი, განჯა, ჩრდილო-კავკასიის ერები.

ჩვენ მხოლოდ ვიგერიებთ თავდამსხმელთ. „კომუნისტი“ ჰორიკანობს, როდესაც ოსების დევნას გვაბრალის, როგორც ერის. ვიმეორებ, ოსებს არც ატენის, არც ტრუსის ხეობაში, არც კახეთში არავინ ავიწროვებს. დაისაჯნენ მხოლოდ თემები ჯავის ხეობის, მესამე აჯანყებისა და მესამე მოღალატეობისთვის. დამისახელოს „კომუნისტმა“ სად უკოცნიან თვალებს აჯანყებისა და მოღალატეობისათვის. მაშინ ჩვენ მტყუანი ვიქნებით. მანამდე კი სჯობია თავის თავს დაუკვირდეს და თავის დანაშაული გაითვალისწინოს.

* *

იმავე პრესაში („კომუ.“ № 24) ავტორი სიჩუმით უვლის იმ ფაქტებს, რომ კომუნისტებში დახვრეტის და ჟლეტის სისტემა პოლიტიკის მთავარ ხაზათაა აღიარებული და სამაგიეროთ გაიძახის: „რა შუაშია აქ საბჭოთა რუსეთი. არც ერთი მაგალითი მისი ცხოვრებიდან შორეულ მსგავსებასაც არ წარმოადგენს ოსების გადასახლებასთან“. მართალია მსგავსებას არ წარმოადგენს, მაგრამ არ წარმოადგენს, იმიტომ რომ თქვენ ასახლებთ არა ამ ქვეყნად არამედ საიქიოს...

ბოლოს გაზეთი საბუთის მაგიერ ერთ ჭორს კიდევ ათავსებს: საქართველო სპეკულიანტებს იფარავდა და იღებდა.

„მაგრამ იგი ვერ დაიკვეხებს, რომ მას შეეფარებინოს **თუნდაც ერთი მუშა ან გლეხი**, საბჭოთა რუსეთიდან გამოქცეული“. (კომ. № 23).

ამ ჭორს უარყოფს „პრავდა“ 1919 წლ. 10 ივლისის, სადაც ვ. სახტანოვის წერილი ჩიჩერინისადმი მოგვითხრობს:

„პრავდაში“ უკვე იყო მოთავსებული ცნობა ჩრდილო-კავკასიიდან ჩვენი 6000 წითელ არმიელის გადასვლის თაობაზე... ამ რამდენიმე ათასი კაცის თფილისში მისვლის დღესვე საქართველოს მთავრობამ მათ საცხოვრებლად ქალაქის განაპირა უბნებში გაანთავისუფლა ყაზარმები, სადაც დაბინავა წითელ არმიელები და მათ ნება მისცა ქალაქში თავისუფლად სიარულისა, აგრეთვე საქართველოს ყველა კუთხეში თავისუფლად მიმოსვლისა. მეთაურებს კი—პირობა ჩამოართვა, რომ მათ არ ეწარმოებინათ საქართველოში ბოლშევიკური პროპაგანდა. თვითეულ შეხიზნულ წითელ არმიელს საქართველოს მთავრობა აძლევდა თვეში 300—500 მანეთს.“

ვინ იყვნენ ეს წითელ არმიელები?

# დღეს

ბოლშევიკების ცნობით პოლონეთის ფრონტზე ყველა მიმართულებით ბრძოლაა.

შავი ზღვის ნაპირად გენ. ვრანგელმა ახალი დესანტი გადასხა, რომლის წინააღმდეგ ბოლშევიკების ცნობით საბჭოთა ჯარები გაიგზავნა.

ფრანგული ცნობით ვარშავასთან ბრძოლა პოლონელების სასარგებლოდ ვითარდება.

რუსეთ-პოლონეთის საზავო მოლაპარაკება მინსკში გრძელდება.

ფრანგული ცნობებით ინგლისის და საფრანგეთის შტაბები გეგმას იმუშავებენ რუსეთ-პოლონეთის ომში ჩარევისათვის.

ზემო სილეზიაში სერიოზული არეულობა მოხდა. იყო შემთხვევები საფრანგეთის ჯარზე თავდასხმისა.

---

განა არც ერთი მუშა და გლეხი არ ერია? ჩვენ კი ვიცით, რომ მრავალი მათგანი აქ სამუშაოზე დადგა, ზოგი ჩვენს სახალხო გვარდიაშიაც შევიდა. მაშ რათ ჰკრიკანობთ?

## საბჭოთა რუსეთში

**ბაშკირეთი და კომუნიზმი.** სტერლიტამაკი, 18 მაისი. სრულიათ ბაშკირეთის საბჭოთა ყრილობა შესდგება 25 ივლისს. ამ ყრილობაზე გავიდნენ მხოლოდ კომუნისტები. 18 ივლისს იხსნება რუს. კომ. პარტიის ბაშკირეთის მე-3-ე კონფერენცია. („იზვეს". № 195)

**ქალები და შრომის ბეგარა.** მოსკოვის სოვდეპმა დაადგინა, რომ შრომის ბეგარაზე სათბობი მასალის დასამზადებლათ ქალები უნდა გაიწვიონ 40 წლამდე და არა 55 წლამდე, როგორც გუბისპოლკომმა ქონდა გადაწყვეტილი. („იზვეს." № 195).

**ჰლექიანების ულუფა.** სასურსათო სახალხო კომისარიატმა 9 ივლისს დაამტკიცა შემდეგი ნორმა ჰლექიან ავადმყოფთა გამოსაკვებათ დღეში თითო ჰლექიანს უნდა ეძლეოდეს—პური—1 გირ., ხორცი—1 გირ. ან თევზი—1 1/3 გირ., სოკო—4 მისხალი, მშუქნეული ქონი—16 მისხალი., ცერცვი—48 მისხ., ბოსტნეული—2 გ., ჩაი—1/4 მისხ., ან ყავა 1 მისხ., შაქარი—6,4 მისხ. ან კამფეტი—5,6 მისხ, კვერცხი—2 ცალი, მარილი 6 მისხ., საპონი—7 მისხ., ფქვილი 4 მისხ., კარტოფილის ფქვილი 8 მისხ., კლიუკვა—12 მისხ. („იზვეს." № 159).

**კიდევ სპეკულიანტები!** მოსკოვის „პრავდა"-ს № 130-ში სწერია: უკანასკნელ დღეებში ხმებს ავრცელებენ, თითქოს რძის გაყიდვას აღკრძალავენო. მ. ა. ო—ს გამგეობის წევრმა სკობენნიკოვმა ჩვენ თანამშრომელს განუცხადა, **რომ ამ ხმებს თვით სპეკულიანტები ავრცელებენ** იმ მიზნით, რომ კიდევ ასწიონ რძის ფასიო.

**დაუდევრობის სურათი.** „პრავდას" № 130-ში დაბეჭდილია გზათა კომისარის სერდლოვის ბრძანება, რომელიც აღნიშნავს ცარიცინის რკინის გზის კვანძის უდიდეს მნიშვნელობას ნავთის გადაზიდვის საქმეში მთელი რესპუბლიკის მეურნეობის აღსადგენად და ამბობს: პასუხისმგებელმა სპეციალისტებმა დაათვალიერეს ცარიცინის რკ. გზის კვანძი და იქ მათ გადაეშალათ თვალწინ საერთო საშინელ დაუდევრობის და უზრუნველობის უნუგეშო სურათი. ყველგან უწესრიგობაა, ყოველივე ლაღადებს, როგორც საკუთარ, ისე სხვისი შრომისადმი უპატივცემლობას. სადგურის მორიგის და ტელეგრაფის კანტორაში ძაღლი პატრონს ვერ ცნობს. არ სჩანს საქმისადმი სიყვარული, თავის მოვალეობათა პატიოსნური ასრულებასაც კი არა აქვს ადგილი. მოვალეობას და პასუხისმგებლობის ნასახიც კი არა სჩანს. უფროსებს გავლენა არა აქვთ, აგენტები ვერ სარგებლობენ კარგათ, ვერ შეუძლიანთ ბრძანება და მოთხოვნა. მატარებლის მეთვალყურემ არ იცოდა მატარებლის სესია და ნომერი. ადგილობრივ „ჩრეზვიჩაიკაში" იგივე სურათია. საქმეებს არ არჩევენ და პატიმართა წიგნებს უწესრიგოთ აწარმოებენ. დასასრულ სვერდლოვი თავის ბრძანებაში აცხადებს, რომ ცარიცინის კვანძის რკინისგზელების გვარები მას შეაქვს შავ დაფაზე „ზარმაცების, საბოტაჟნიკების და საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა განთავისუფლების საქმის მოღალატეების გვარებთან ერთად".

**ბოროტ-მოქმედებანი მუშათა სასადილოებში.** მოსკოვის მუშათა სასადილოებში წესრიგისა და სისუფთავის თვალყურის სადევნებლათ დანიშნეს სპეციალისტი—გამგეები, რადგან გამოირკვა, რომ იქ ბოროტ-მოქმედებას ჰქონდა ადგილი. მაგ., მოსკოვ-ყაზანის რკინისგზელთა სასადილოში უმარილო კერძს ამზადებდენ, თუმცა 1000 კერძზე 10 გირ. მარილი ეძლეოდა სასადილოს. აქ სადილისთვის მუშებს 1 საათს აძლევენ მხოლოდ. მუშები ამიტომ ვერ ასწრობენ სადილობას და სასადილოებში ამის გამო არ დადიან. და ეს მაშინ, როცა მუშები სადილში მაინც იხდიან ფულს. („პრავდა" № 129).

---

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

აგვისტოს 21.

## გერმანული ცნობები

**იტალია და ბოლშევიზმი.**

გერმანიის პრესის ცნობით „კორიერე დ, იტალიაში" დაბეჭდილია რომანი, სადაც ის აზრია გატარებული, რომ საფრანგეთმა, გერმანიამ და იტალიამ ხელიხელ ჩაკიდებული უნდა იმოქმედონ ევროპის კონტინენტის ბოლშევიზმისაგან დასაცავადო.

**რუსეთ-გერმანიის დამოკიდებულება.**

რუსეთის ტრანსპორტის საქმის მეთაურმა ლომონოსოვმა, რომელიც ამ ჟამად ბერლინს იმყოფება, მომავალში კომერციულ და ეკონომიურ დამოკიდებულების განახლების მიზნით განიზრახა შეიძინოს მანქანები და გერმანიის სამრეწველოების წარმომადგენლებთან ერთად განიხილოს ტეხნიკური საკითხები. სანამ ტრანსპორტის პირობები ძირეულათ არ გაუმჯობესდება, მანამ რუსეთს ფიქრიც კი არ შეუძლიან საქონლის გატანაზე. ლომონოსოვმა იმედი გამოსთქვა, რომ გერმანელები ამ მანქანების ყიდვას შეხედავს ისე, როგორც რუსეთ-გერმანიის ეკონომიურ დამოკიდებულების დასაწყისსო.

**ომის წინააღმდეგ**

გერმანიის მრავალი ორგანიზაცია შეერთებულ მოწოდებაში მიესალმება თანამედროვე ტენდენციას, რომელიც ყოველ ქვეყანაში თანდათან ვრცელდება და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ხელი შეუშალოს ყოველგვარ ომს და ერთა თვითგამორკვევის ნიადაგზე მოსპოს ყოველგვარი ძალადობა და სისხლის ღვრა.

**ხმების უარყოფა.**

გერმანიის ავტორიტეტიული პირები გადაჭრით უარყოფენ პარიზში გავრცელებულ იმ ყალბ ხმებს, თითქოს გერმანიის საზღვრით მალულად გაჰქონდეთ სამხედრო მასალა საბჭოთა ჯარებისათვის და თითქოს გერმანელი მფრინავები ბოლშევიკებს პოლონეთის ჯარის მსვლელობას ამცნობდენ.

## ფრანგული ცნობები

**ბრძოლა ვარშავასთან.**

ვარშავასთან ბრძოლა პოლონელების სასარგებლოდ ვითარდება. პოლონელებმა აიღეს (დამახინჯებულია) ფრონტი. ტორნიდან მოსული პოლონეთის ჯარები მტერს უტევენ, ვარშავის აღმოსავლეთით გვგონია, რომ ვარშავა საბოლოოდ გადარჩენილია.

**არეულობა ზემო სილეზიაში.**

ზემო სილეზიაში სერიოზული არეულობა მოხდა. იყო შემთხვევა საფრანგეთის ჯარზე თავდაცემისა.

## ბოლშევიკების ცნობები

**საზავო მოლაპარაკება,**

**მინსკი.** აგვისტოს 19, მინსკის კონფერენციის მეორე პლენალური სხდომა მოხდა, პოლონეთის დელეგაციის წარმომადგენელმა წაიკითხა პოლონეთის დეკლარაცია, რომლის ძირითადი დებულებები ასეთია: პოლონეთის დელეგაცია მოვიდა მინსკში დროებითი და წინასწარი ზავის ჩამოსაგდებად. პოლონეთს არ უნდოდა ომი. პოლონეთის ჯარი იკავებდა ისეთ ტერიტორიას, რომელიც ოდესმე პოლონეთის რესპუბლიკის საზღვრებში შედიოდა იმ მიზნით, რომ ხალხს თვით გადაეწყვიტა თავისი ბედი. პილსუდსკიმ, როგორც კი ვილნოში შევიდა გამოაქვეყნა მოწოდება, სადაც ლიტვის ყოფილ სამეფოს მცხოვრებთ მოუწოდებდა, თვითვე გადაეწყვიტათ თავისი ბედი. დვინსკში (და-

[illegible]

...მასალა ინგლისის დანიშნულ ადგილზე. 6. დანარჩენი უნდა გადაეცეს რუსეთსა და უკრაინის მთავრობას ...(დამახინჯებულია)... უკანასკნელები მილიციის გადასცემენ. 7. პოლონეთში უნდა შეწყდეს სამხედრო მასალის დამზადება და უნდა მოხდეს მხედრობის დემობილიზაცია. 8. პოლონეთმა უნდა იკისროს იმის ვალდებულება, რომ თავის ტერიტორიაზე არ გაატაროს რუსეთის საწინააღმდეგოთ წამოსული რუსეთთან სამტროდ განწყობილი უცხოეთის სახელმწიფოების, თუ ორგანიზაციების არც შეიარაღებული ძალა და არც სამხედრო მასალები. 9) სამხედრო მოქმედება დროებითი ზავზე ხელის მოწერის შესახებ 27 საათ. შემდეგ შეწყდეს და 50 ვერსზე დაერსდეს ნეიტრალური ზონა. 10) ნეიტრალურ ზონაში ჩადგება რუსეთ-უკრაინის ჯარი არა უმეტეს 200,000 კაცისა. 11) პოლონეთი აბრუნებს... (დამახინჯებულია).. წინათ წართმეულ ქონებას და კისრულობს მის მიერ დანგრეულ ქალაქების აღდგენას. სხდომაზე მიღებულ უნდა იქნას კონფერენციის დღიური წესრიგი და რეგლამენტი.

ოფიციალურ ენათ რუსული, უკრაინული და პოლონურია, ყოველი მხარე სწერს ცალკე ოქმს. და ნება აქვს მისი გამოქვეყნებისა. დანიშევსკი აცხადებს უკრაინა დამოუკიდებელი რესპუბლიკაა. რომელიც საბჭოთა რუსეთთან კავშირში იმყოფება. ამიტომ მოვითხოვ პოლონეთის დელეგაციამ წარმოადგინოს თავის მთავრობის მანდატი, რომ მას დავალებული აქვს უკრაინასთან საზავო მოლაპარაკების წარმოება. დანიშევსკის სხდომის დახურვის წინ შემოაქვს დასაბუთებული პროტესტი პოლონეთის დელეგაციების მიერ საქმის გაჭიანურების გამო. 12. პოლონეთი პირველ რიგში აძლევს მიწებს პოლონელმოქალაქეთ, რომლებიც დაიჭრნენ, ან შრომის უნარი დაჰკარგეს. 13. პოლონეთი რუსეთსა და უკრაინას უფლებას აძლევს თავისუფლად ხალხის გადაყვანის და საქონლის გადატანისას თავის მიწაზე ვოლკოვსკ-ბელოსტოკ-გრაევისგზით რომელიც საბჭოთა რუსეთის სრულ გამგებლობაში რჩება. პოლონეთმა უნდა გამოაცხადოს სრული პოლიტიკური და სამხედრო ამინისტია. 15. პოლონეთმა უნდა გამოაქვეყნოს მასალები და საბუთები ომის... (გამოტოვებულია)... წარმოების.

[illegible]

...ლა გაემართება ოსტროლენსკისაკენ მარჯვენა ფრთა (დამახინჯებულია) ბელსკს. უკიდურესი მარჯვენა ფრთა ბრესტლიტოვსკისკენ მიიწევს. საფრანგეთის პრესა აღფრთოვანებით ეგებება პოლონეთის ჯარის გამარჯვებას. ჯარის რეორგანიზაციისა და უფროსთა შეცვლის გამო ინიციატივა ყველგან პოლონელების მხარეზეა.

**ლიონის რადიო-სადგური.**

**მილიერანი განადგურებულ ადგილებში.**

მილიერანმა ხუთშაბათს ინახულა ვერდენის მახლობლად განადგურებული ადგილები, პარასკევს დაათვალიერა მაასი და მოზელი.

რუმინეთსა და უნგრეთის შორის აქამდის შეწყვეტილია დიპლომატიური დამოკიდებულება ახლა. იგი საფრანგეთის დახმარებით კვლავ განახლდება. მეფის ადიუტანტი პოლკოვნიკი სტარუა, რომელიც დანიშნულია სრულუფლებიან ელჩად, ამ დღეებში უნგრეთს გაემგზავრება, უნგრეთის მთავრობაც თავის მხრივ ელჩს ბუქარესტში გაგზავნის.

**საქართველოში არსებული რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლობის ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი.**

21 აგვისტო.

**ეგვიპტელი ტერორისტები.**

**ანგორა.** 14 აგვ. ეგვიპტიდან 1 აგვისტოს მიღებულ ცნობებით, ეგვიპტის ნაციონალისტებმა მოაწყვეს ტერორისტული ორგანიზაცია ეგვიპტის მთავრობის წევრთა დახოცვის მიზნით. ქაიროში დახვრიტეს ფენენი, რომელმაც პრემიერ მინისტრს ყუმბარა ესროლა.

**მობილიზაცია რუმინეთში.**

**პარიზი.** 10 აგვ. „ექ ცელზიორი" სწერს: „პარიზის რუმინელთა ოფიციალურ წრეებიდან მიღებულ ცნობით, რუმინიაში ჯერ არ არის განზრახული მობილიზაცია, მაგრამ რამდენიმე ჰასაკის სათადარიგონი გაიწვიეს, შეაიარაღეს და უცხოეთში გაგზავნეს".

**ქემალისტების დაპატიმრება სტამბოლში,**

**სტამბოლი.** 14 აგვ. „ბოსფორი" იუწყება, რომ დააპატიმრეს გენერალურ შტაბის კაპიტანი ფაიკ-ბეი, რომელსაც კავშირი ჰქონდა ნაციონალისტებთან. დააპატიმრეს აგრეთვე ლეიტენანტი ჯევადი, ქემალისტურ აგიტაციისთვის; მან თავი გიჟად მოაჩვენა და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს.

**უნგრეთის თეთრგვარდიელთა ახალი გეგმები.**

**მოსკოვი,** 10 აგვ. ვენის „არბეიტერ ცეიტუნგი" იუწყება უნგრეთის კონტრრევოლიუციონერების ახალ გეგმებზე. ერთ სხდომაზე ოფიცრების, მაღალ თანამდებობის მოხელეთა და სამხედრო მინისტრის სოოსის მონაწილეობით დაადგინეს დაიპყრონ ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებანი, განაიარაღონ პოლიცია, დაიპყრონ სოციალისტური გაზეთების რედაქციები და დააპატიმრონ მათი ყველა თანამშრომლები. ვინც წინააღმდეგობას გაუწევს, დახოცონ. მუშათა უნიებს ალყა შემოარტყან. ის პირნი, ვინც გარეგნობით ებრაელებს წააგვან, დაპატიმრებულ იქმნან. ქრისტიანებს წინადადებას აძლევენ თავი არ გაანებონ თავის ბინებს. თავდაცვის სამინისტროს საიდუმლო სექციამ 2 საათით ადრე უნდა შეატყობინოს, თუ როდის დაიწყოს გამოსვლა.

**ქემალ-ფაშას შტაბის სამხედრო ცნობიდან.**

**ანგორა,** 7 აგვისტო. ჩვენ სროლა შევაწყვეტინეთ მტრის არტილერიას, რომელიც მერსინას მიდამოებს უშენდა.

2 აგვისტოს ფრანგებს, აქჯა-კუიულუს ახლოს მდ. საჩურის მარცხენა ნაპირი დავაცლევინეთ, რომელიც ჩვენ დავიჭირეთ.

## საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

21 აგვისტო.

**ლოიდ-ჯორჯის პასუხი.**

**ლონდონი,** 18, თემთა პალატაში შეტანილ შეკითხვაზე გაცემულ პასუხში ლოიდ ჯორჯმა, სხვათა შორის სთქვა: თანახმად მიღებულ ცნობებისა, ბაქოში დატყვევებულ ინგლისელები, აგვისტოს 5-ს განთავისუფლეს და ამ ჟამად ცხოვრობენ ამავე ქალაქის კერძო ბინებში. ამასთანავე ლოიდ ჯორჯმა განაცხადა: ინგლისის მთავრობამ განუმარტა ვრანგელს, რომ თუ იგი კიდევ განაგრძობს ბოლშევიკების წინააღმდეგ შეტევას, მაშინ მთელი პასუხისმგებლობა მას დაატყვება თავსო. ვრანგელმა მიიღო თავის-თავზე არა მარტო ბოლშევიკების წინააღმდეგ სამხედრო შეტევის ინიციატივა, არამედ—იგი განაგრძობს ამ შეტევას. ამით რასაკვირველია, ვრანგელი მთელ პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებს.

**ერთა ლიგა და რუსეთი.**

ლოიდ-ჯორჯმა ერთა ლიგის საკითხის შესახებ სთქვა: ლიგას არ შეუძლია მუშაობა, თუ ერთსულოვნება არ იქნა. ბუნებრივია, რომ ყველა მოკავშირე რუსეთ-პოლონეთის საკითხს ერთნაირათ არ ეკიდება; მაგრამ საქმე ვერც იმან უშველა, რომ ამ საკითხს ერთა ლიგა სწყვეტს და არა უმაღლესი საბჭო, რუსეთმა ერთა ლიგის დელეგაციის მიღებაზე უარი სთქვა. საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ ერთა ლიგას არავითარ მოსაზრებით არ ჩაირევს თავის შინაურ საქმეებში. პრემიერმა ხაზი გაუსვა იმას, რომ მან და მისმა კოლეგებმა მშვიდობიანობის დასამყარებლად ყოველ ზომას მიმართეს და იმედი გვაქვს ამაში მალე პალატაც დარწმუნდებაო.

**ინგლისელი კომუნისტი რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ.**

**პარიზი,** აგვ. 3. „ეხო დე პარი" იუწყება რუსეთიდან ინგლისელ კომუნისტის ლიფარდ-ალენის დაბრუნების შესახებ, ალენმა განაცხადა, როდესაც მე გავეცანი კომუნისტებს,—დავკარგე რწმენა ლენინისა და ტროცკის რეალურ კომუნიზმისაო. ალენი ამბობს: რუსული მეთოდები სოციალურ აღმშენებლობისა ინგლისს არ შეფერება. ამიტომ მესამე ინტერნაციონალის დადგენილება, რომელიც მოითხოვს, რომ ევროპის სოციალისტურმა პარტიებმა შეითვისონ ლენინისა და ტროცკის მეთოდები, განუხორციელებელია. კიდეც რომ დავუშვათ, რომ ლენინის მეთოდები რუსეთს ეგუება, ისინი ყოველ შემთხვევაში მიუღებელია განათლებულ ქვეყნებისათვის, იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც ვერავითარ ტირანიას ვერ მოითმენს—ვერც ცარიზმს და ვერც ბოლშევიზმს. „ეხო დეპარი"-ს, მოჰყავს რა ალენის ასეთი შეხედულება რუსეთის შესახებ, კითხულობს: რატომ არ აქვთ საფრანგეთის სოციალისტებს კაშენსა და ფროსარს ასეთი მოქალაქეობრივი გამბედაობა და რათ არ გამოჰყავთ აუცილებელი დასკვნა იმის შესახებ—შესაძლებელია, თუ არა ბოლშევიზმი საფრანგეთში?

**ბონარ ლოუს განცხადება.**

**ლონდონი.** აგვ. 18. (რადიო) თემთა პალატის სხდომების დახურვის წინ ბონარ-ლოუმ წინადადება შეიტანა მიენდოს სპიკერს მოიწვიოს პარლამენტი აღნიშნულ დროზე უფრო ადრე, თუ ამას საზოგადოებრივი ინტერესები მოითხოვს. ამასთანავე მან განაცხადა დღემდე მთავრობას არ გადაუხვევია თავის პოლიტიკისათვის რუსეთ-პოლონეთის საკითხში. ამიტომ თემთა პალატის სხდომების მოწვევა იმ შემთხვევაში იქნება საჭირო, თუ რუსეთის მიერ პოლონეთისადმი წარდგენილი პირობა პოლონეთის დამოუკიდებლობის თვალსაზრისით მიუღებელი იქნება. ეს რომ ასე მოხდეს, მაშინ მთავრობა პოლონეთის დაცვის გზას უნდა დაადგეს. ჯერ კი არა გვაქვს საბუთი რომ ასე ვიფიქროთ. პრემიერმა მიიღო წერილი კამენევისა, რომელიც გადაჭრით ამბობს,

---

## საბჭოთა კონსტიტუცია *)

(რ უ ს ე თ ი).

როგორც ვიცით თვითპყრობელური რუსეთი თავის მოჩვენებით კონსტიტუციური წყობილებით (სახელმწიფო სათათბირო) დაინგრა.

დამფუძნებელ კრებას უნდა დაემყარებინა მთლიანი რუსეთის რესპუბლიკანური წესწყობილება, შეემუშავებინა დემოკრატიული კონსტიტუცია. მაგრამ ბოლშევიკურმა გაბატონებამ ბოლო მოუღო როგორც დამფუძნებელ კრებას და დემოკრატიულ თავისუფლებას, ისე თვით სახელმწიფოს ერთიანობას.

ძველი თვითპყრობელური რუსეთის მონარქიულ კონსტიტუციას და დროებით მთავრობის მიერ გამოცხადებულ რესპუბლიკის ნანგრევებზე ბოლშევიკების მეთაურობით შემუშავდა **საბჭოთა კონსტიტუცია,** რომელიც მიიღო და დაამტკიცა მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების სრულიად რუსეთის მესამე და მეხუთე ყრილობამ. ეს არის **ძირითადი კანონი რუსეთის სოციალისტურ-ფედერატიულ საბჭოთა რესპუბ-**

[illegible]

...ლობათა და საზოგადოდ ფარულ ხელშეკრულობათა გაუქმებას, ბანკების ნაციონალიზაციას, საყოველთაო შრომის ბეგარას და სხ. ცხადდება შეიარაღება მშრომელთა და წითელი ჯარის შედგენა.

კონსტიტუცია გმობს ომს და კოლონიალურ პოლიტიკას და აქებს-ადიდებს საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას, რომელმაც გამოაცხადა **ფინეთის დამოუკიდებლობა, სპარსეთიდან ჯარის გამოყვანა და სომხეთის თვითგამორკვევის თავისუფლება.**

ხელისუფლების არც ერთს დაწესებულებაში, ერთს ორგანოში არ უნდა ჰქონდესთ ადგილი არც გაბატონებულ კლასებს, არავის ვინც არ ეხმარება საბჭოთა დიქტატურას. ბრძანებლობა, ხელმწიფება ეკუთვნის მხოლოდ და მარტოოდენ მუშებს და მათ საბჭოებს.

ამ წინასიტყვაობის შემდეგ ჩვენს წინაშე იშლება კონსტიტუციის ძირითადი დებულებანი.

მყარდება **დიქტატურა ქალაქის და სოფლის პროლეტარიატისა და ღარიბი**

[illegible]

...ბული ანალიზი აღმოაჩენს, რომ აქ ნაგულისხმევია მხოლოდ პირთა განსაზღვრული კატეგორია. საზოგადოდ მოქალაქე და მისი უფლებები საბჭოთა კონსტიტუციამ არ იცის.

შრომა ყველა მოქალაქის მოვალეობაა. ვინც არ შრომობს; არც სჭამს—ეს კონსტიტუციური ლოზუნგია, რომელიც ყველაზე ნაკლებ ხორციელდება.

სოციალისტური სამშობლოს დაცვა ყველა მოქალაქის ვალდებულებაა. ეს საყოველთაო ბეგარაა. მაგრამ რევოლიუციის იარაღით დაცვის საპატიო უფლება **მხოლოდ მშრომელთ ეკუთვნის.** მოქალაქეობა ენიჭება ყველა უცხოელს, ვინც შრომით ცხოვრობს რუსეთში და ეკუთვნის მუშათა კლასს. რუსეთი კარს უღებს ყველა უცხოელს, რომელიც იდევნება პოლიტიკური თუ სარწმუნოებრივი დანაშაულისთვის.

დამყარებულია სრული თანასწორობა მოქალაქეთა შორის მიუხედავად რასიული თუ ეროვნული განსხვავებისა. ყოველი უპირატესობა უარყოფილია. ეროვნული უმცირესობა თავისუფალია. მაგრამ საყურადღებო ისაა, რომ კონსტიტუციის აზრით, კერძო პირთ და კერძო ჯგუფებს რევოლიუციის საკეთილდღეოდ **უფლება ერთმევა.** ყველას არა აქვს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლება და თავისუფლება. აქ აშკარავდება, რომ რუსეთის ტერიტორიაზე ყველა მცხოვრები მოქალაქე არ არის. მათ შორის უმცროს-უფროსობას აქვს ადგილი. ზოგი პრივილეგიით არის მოსილი, ზოგი სულ უუფლებოა.

სრულიად საბჭოთა რუსეთის ყრილობა შესდგება ქალაქის საბჭოთა და საბჭოთა საგუბერნიო ყრილობათა წარმომადგენლებისაგან. ქალაქის საბჭოებიდან—თითო დეპუტატი ხვდება 25.000 ამრჩეველს, ხოლო საგუბერნიო საბჭოებიდან—თითო დეპუტატია 125.000 მცხოვრებზე. დარღვეულია თანასწორობა საბჭოთა უმაღლეს წარმომადგენლობაში. ქალაქის საბჭოსათვის აღებულია **ამომრჩეველი, სოფლისათვის კი მცხოვრები.** ამას რომ თავი დავანებოთ, საბჭოთა კონსტიტუციით 25.000 მოქალაქე—ამრჩეველი უდრის 125.000 მოქალაქე—მცხოვრებს. გამოურკვეველია რა ცნობას, რა მეთოდს ემყარება ასეთი გათანასწორება. სამართლიანი და სწორი პრინციპი—თუნდ მარტო მშრომელი დემოკრატიისთვის:—საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარულად პროპორციული საარჩევნო უფლება უკუგდებულია.

სრულიად რუსეთის ყრილობას იწვევს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ან თავის გადაწყვეტილებით ან ადგილობრივ საბჭოების მოთხოვნით. ეს საბჭოები უნდა წარმოადგენდენ მთელი რესპუბლიკის მცხოვრებთა არა ნაკლებ ნახევარს. ყრილობა ირჩევს აღმასრულებელ კომიტეტს, 300 წევრისაგან შემდგარს, რომელიც პასუხისმგებელია ყრილობის წინაშე.

აღმასრულებელი კომიტეტი არის უმაღლესი საკანონმდებლო, აღმასრულებელ გამაწესრიგებელი და საკონტროლო დაწესებულება ერთსა და იმავე დროს.

სრულიად რუსეთის ყრილობის და სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტის საკანონმდებლო კომპეტენცია თითქმის ერთი და იგივეა. ისინი ერთნაირათ სწყვეტენ ყველა სახელმწიფური მნიშვნელობის საკითხს. მათ ხელშია მთელი კანონმდებლობა, დეკრეტები, საგარეო და შინაური პოლიტიკა, საზღვრების და ტერიტორიის საქმე, სესხი, ხელშეკრულობა, ომი და ზავი, ამნისტია და სხ:

კონსტიტუციის გადაშინჯვა და ხელშეკრულობის რატიფიკაცია ეკუთვნის მხოლოდ საბჭოთა ყრილობას.

აღმასრულებელი კომიტეტი ანგარიშს აძლევს ყრილობას, ირჩევს მთავრობას—სახალხო კომისართა საბჭოს, რომელიც პასუხისმგებელია როგორც საბჭოთა ყრილობის ისე აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე.

სახალხო კომისართა საბჭო მმართავს საბჭოთა რუსეთის საქმეებს. აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლიან გააუქმოს ან შეაჩეროს კომისართა საბჭოს ესა თუ ის გადაწყვეტილება. არის 17 სახალხო კომისარიატი—სამინისტრო, ამ კომისარიატებს უძღვებიან სახ. კომისართა საბჭოს წევრნი ანუ სახალხო კომისარები. კომისარიატებთან არსებობენ კოლეგიები.

საბჭოთა რუსეთში ადგილობრივი თვითმართველობა, დემოკრატიულათ შემდგარი, ერობის თუ მუნიციპალიტეტის სახით არ არსებობს. აქაც ყველაფერი საბჭოებს ეკუთვნის.

არის საოლქო, საგუბერნიო, სამაზრო, სათემო, სასოფლო, საქალაქო საბჭოები. ამ ადგილობრივ საბჭოებშიაც დარღვეულია მშრომელთა საარჩევნო თანასწორობა. არსებობს სართულიანი არჩევნები. მაგალითად: საოლქო საბჭოში—ერთი დეპუტატი წარმოადგენს 25.000 მცხოვრებს საქალაქო სამაზრო ყრილობათაგან; ხოლო ქალაქებიდან ერთი დეპუტატი წარმოადგენს 5000 ამრჩეველს. ამ საბჭოებს ყავთ თავთავისი აღმასრულებელი კომიტეტები, რომლებიც საბჭოებთან ერთად უძღვებიან ასრულებენ და მეთვალყურეობენ ადგილობრივ საქმეთ. სოფლად, სადაც შესაძლებელია მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება თვითონ ამრჩეველთა საზოგადო ყრილობა.

ვის აქვს აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება?

ასეთი უფლება აქვს ყველა კატეგორიის მუშას და მოსამსახურეს, განურჩევლად რწმენისა და ეროვნებისა, მრეწველობაში, ვაჭრობაში, სასოფლო მეურნეობაში და სხ. აგრეთვე უფლება აქვთ გლეხებს, მიწის მუშა კაზაკებს, რომელნიც არ სარგებლობენ დაქირავებულ შრომას მოგების მიზნით და საბჭოთა არმიის და ფლოტის სალდათებს.

ვერ აირჩევს და ვერც აირჩევა ის, ვინც სარგებლობს დაქირავებულ შრომას მოგების მიზნით, ვინც ცხოვრობს უშრომო შემოსავლით, ვინც ვაჭრობს და შუამავლობს, ვინც სასულიერო წოდებას ეკუთვნის, ვინც მსახურობდა ძველად პოლიციაში ან ჟანდარმერიაში და სხ.

არჩევნები ყველგან სწარმოებს საარჩევნო კომისიის და ადგილობრივი საბჭოს დანდასწრებით და მეთვალყურეობით. ადგილობრივი საბჭო სწყვეტს სადაო კანდიდატის დამტკიცების საკითხს. არჩევნების გაუქმების შესახებ უკანასკნელი ინსტანცია სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტია. ამრჩევლებს აქვთ დეპუტატის გამოწვევის უფლება.

ფინანსიურ პოლიტიკას საზღვრავს უმთავრესად ბურჟუაზიის ექსპროპრიაცია და კერძო საკუთრების უფლების გაუქმება და მისი შედეგები. შემოსავალი და გასავალი შედის ბიუჯეტში. რა შემოსავალი შედის საერთო ბიუჯეტში და რა რჩება ადგილობრივ საბჭოს. ამას სწყვეტს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. განსაზღვრულია როგორ სდგება საბჭოთა ხარჯთ-აღრიცხვა და როგორ გამოითხოვენ ადგილობრივი საბჭოები სახელმწიფო ხაზინიდან საჭირო თანხებს ადგილობრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

ასეთია მოკლეთ საბჭოთა რუსეთის საბჭოთა კონსტიტუცია. აქ შელახულია როგორც საერთო დემოკრატიული პრინციპები, ისე კერძოდ თვით მშრომელთა, პროლეტარულ დემოკრატიის ელემენტარული მოთხოვნილება. სხვა საკითხია—თუ რამდენად სრულდება რუსეთის სინამდვილეში დაწერილი კონსტიტუცია, რამდენად ირღვევა საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქის პოლიტიკური, მოქალაქეობრივი და სოციალურ-ეკონომიური უფლებები.

რუსეთი უდიდესი ანარქიის და სამოქალაქო ბრძოლის ქვეყნად არის გადაქცეული. თავისუფლებას სარგებლობს და ხმარობს მხოლოდ გაბატონებული პარტია ბოლშევიკების. საბჭოთა მთავრობა წარმატებით იცავს თავს და უმკლავდება მრავალ მტერს. მაგრამ იგი მარტო თავდაცვით არ კმაყოფილდება და ანვითარებს შეტევითს და დაპყრობითს პოლიტიკას. ეს ბოლშევიკური ანუ იგივე რუსული იმპერიალიზმია, რომელიც არსებითად თითქმის არაფრით განსხვავდება სხვა რომელიმე ქვეყნის იმპერიალიზმისაგან. ამ ქვეყნის დაპყრობის იმპერიალისტურ ციებცხელებაში რუსეთის მეთაურები ივიწყებენ თავის საბჭოთა კონსტიტუციას, განსაკუთრებით იქ აღიარებულ თვითგამორკვევის უფლებას.

**გერმანია.**

გერმანია, როგორც უძლიერესი იმპერია, წესწყობილებით ფედერატიული

[illegible]

*) იხ. „ერთობა" № 186.

რომ პირობები არ იქნება შეცვლილი. ამ შემთხვევაში ინგლისის მთავრობა არავითარ ზომებს არ მიიღებს, მხოლოდ შეიძლება აღიძრას პირობებთან დაკავშირებული სხვა საკითხები. მთავრობას სურს, რომ ამ საკითხების გადაწყვეტაში თემთა პალატამ მიიღოს მონაწილეობა, რათა იგი დარწმუნდეს, რომ მთავრობა სახელმწიფოს არავითარ ომს არ ახვევს თავზე. დამოუკიდებელ ლიბერალების მხრივ ასკვიტი და მუშათა პარტიის წარმომადგენლები ბონარ ლოუს ამ განცხადებას სიამოვნებით მიეგებენ.

**ომში ჩარევისათვის.**

**პარიზი.** აგვ. 20. „მატენის“ ცნობით ინგლისისა და საფრანგეთის გენერალური შტაბები იმუშავებენ გეგმას რუსეთ-პოლონეთის ომში ჩარევის შემთხვევისათვის.

**ხორბალი რურის მცხოვრებთ.**

**ჰაგა.** აგვ. 20. პოლონეთის მთავრობამ გერმანიის მთავრობას დაუთმო 2 მილიონი კილო ქერი და ხორბალი რურის მცხოვრებლებს გამოსაკვებად. ეს ხორბალი ოქროს ფულით უნდა შეისყიდონ.

**ხაზავი მოლაპარაკება და შეტევა.**

**ლონდონი,** აგვისტოს 20 (რადიო). პილსუდსკის ჯარმა მტერი გაფანტა და ვარშავა-დანციგის ხაზზე იერიში მიიტანა. ვილაარის სიმხრეთით პოლონელებმა 25 კილომეტრით წინ წაიწიეს. პლოცკისა და ტორნისკენ წამოსულმა ბოლშევიკთა ჯარებმა სასწრაფოდ უკან დაიხიეს. პოლონეთის დელეგაციისაგან მინსკის კონფერენციის შესახებ არავითარი ცნობა არ მოსულა. მინსკსა და ვარშავას შორის რადიოს უმოქმედობა შეთანხმების დარღვევაა. ოფიციალური ცნობაა, რომ ჟურნალისტებს ნება მიეცათ პოლონეთის დელეგაციასთან ყოფნისა.

## ბათომი

**ბათომი.** აგვ. 21. (საქ. კორ.) საგანგებო კომისარმა ჩხიკვიშვილმა მოიარა ართვინის ოლქი. მდგომარეობის გასაცნობად. საგანგებო კომისარს ახლდა დამფუძნებელი კრების წევრი ანჯაფარიძე. ჩხიკვიშვილი შედიოდა აგრეთვე სოფლებში და ეცნობოდა ადგილობრივ მცხოვრებთა საჭიროებას. ბორჩხაში მცხოვრებლებმა სთხოვეს მას ბორჩხის რაიონის ცალკე ადმინისტრატიულ ერთეულად გამოყოფა. ართვინის მცხოვრებლები საგანგებო კომისარს დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ. ქალაქი საგანგებოთ განათებული იყო და შემკული მწვანეულობითა და ეროვნული დროშებით. აქ კომისარს წარუდგენ ადგილობრივ მცხოვრებთა წარმომადგენლები.

ინახულეს აგრეთვე სომხებმაც, რომლებიც ესაუბრენ კომისარს თავის საჭიროებათა შესახებ. აგვისტოს 16 ჩხიკვაშვილმა ინახულა ართვინში დაბანაკებული ჯარი. ჯარმა მშვენიერი შთაბეჭდილება დასტოვა. მცხოვრებლების წარმომადგენლებმა განაცხადეს: ჩვენ ადგილობრივ ჯარს ვუცხადებთ მადლობას მცხოვრებლებისადმი მათი ჰუმანიური დამოკიდებულების გამო. შემდეგ ჩხიკვაშვილი გაეცნო სასკოლო საქმეს და მცხოვრებთა წარმომადგენლებთ დაუსახელა ადგილები ახალ სკოლების გასახსნელათ. სხვათაშორის კომისარმა ინახულა სომხების ეკლესია და მაჰმადიანთა მეჩეთი. შენიშნა, რომ მეჩეთი შეკეთებას საჭიროებდა. იმავე დღეს გასცა ბრძანება ოლქის ინჟინრის მიმართ, რომ იგი მეჩეთის შეკეთებას შესდგომოდა.

ართვინში მგზავრობამ დაარწმუნა საგანგებო კომისარი იმაში, რომ ოლქში მტკიცე მდგომარეობაა, მაგრამ მოსავა-

[illegible]

## ახალი ამბები

**საფოსტო დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის.** ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომ აგვისტოს 19 საქართველოში მყოფ საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლობის მთავარ მდივანს ანდრეევს საქართველოსა და რუსეთის შორის ფოსტა-ტელეგრაფის კონვენციის პროექტი გადასცა. წინასწარ მოლაპარაკების დროს გამოირკვა, რომ შესაძლებელია ზოგიერთი დაბრკოლება დაიბადოს მხოლოდ ფულის გადაგზავნის ოპერაციების დროს. ამ საკითხის გამოსარკვევად საჭირო იქნება დაარსება საგანგებო კომისიისა, რომელშიაც შევლენ საბჭოთა მისიის ეკონომიურ წარმომადგენლობის, ფინანსთა სამინისტროს, სახელმწიფო კონტროლის და ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს წარმომადგენლები.

**წალვერის საავადმყოფო** მთავრობამ დაადგინა: ჩამოერთვას მოქ. ვრელინსკეს მამული, რომელიც წაღვერის აგარაკში მდებარეობს და გადაეცეს ჯანმრთელობის დეპარტამენტს. ამ მამულში საავადმყოფო უნდა მოეწყოს ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა შინაგან საქმეთა მინისტრს დაევალა. (დ. ს.)

**ათონის სახელმწიფო მამული.** მთავრობამ უარყო ათონის მონასტერის შუამდგომლობა ათონის სახელმწიფო მამულის მასზე იჯარით გაცემის შესახებ. (დ. ს.)

**ბათომის ოლქის ტელეგრაფის** ხაზის შეკეთება ამ დღეებში დასრულდება.

**ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველო** ამ ჟამად სცდილობს სასწრაფო ფოსტის საქართველოდან ევროპაში ჰაეროპლანებით გადატანის პრაქტიკულად მოწყობას. საქართველოსა და ევროპას შორის ჰაეროპლანების საშუალებით პირდაპირი დამოკიდებულების მოწყობა დიდ სიძნელეს წარმოადგენს. ამიტომ რამოდენიმე ეტაპი იქნება მოწყობილი: თფილის-ბათომი, ბათომ-კონსტანტინოპოლი და სხვ. საერთოდ დამოკიდებულების მოწყობა ადგილობრივ მფრინავებს მიენდობა. ჰაერით საფოსტო კავშირის დაჭერას ევ-

[illegible]

ლაძე ზემო სვანეთში, ა. გელეიშვილი—ახალციხის მაზრაში, კ. ჯაფარიძე—რაჭის მაზრაში ქ. შარაშიძე და დ. ჩხეიძე ხევსურეთში; ვ. წულაია—ბორჩალოს მაზრაში, მ. ბადრიძე და ს. ახმეტელი—ალაზანის გაღმა რაიონში; ბ. თევზაია—აფხაზეთში; თ. კიკვაძე—სამაჰმადიანო საქართველოში; ხელაია და ჩიქოვანი—სამეგრელოში: ი. გომართელი—ზემო-იმერეთში; გ. გიორგაძე და პ. საყვარელიძე ქვემო იმერეთში, ვ. ცაბაძე დუშეთის მაზრაში, ი. ტატიშვილი გორის მაზრაში; გ. შევჩუკი-აბულაძის რაიონში; ფ. ლორია—ქუთაისის მაზრაში—და სიღნაღის რაიონში. (დ. ს.).

**დახმარება ბორჩალოს მაზრას.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღძრა მთავრობის წინაშე შუამდგომლობა, რომ მიეცეს ბორჩალოს მაზრას სესხად 4.640.900 მანეთი კულტურულ მცენარეების მოსაშენებლად.

**განახლდა ართვინთან საფოსტო** დამოკიდებულება. დეპეშების გზავნა ტელეგრაფის ბოძების აღდგენის შემდეგ განახლდება.

**დახმარება ხონს.** თანახმად შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენებისა მთავრობამ დაადგინა; მისცეს ხონის ქალაქის თვითმართველობას სათანადო სუბსიდია $^1/_2$ მილ. მან. მილიციის შენახვით გამოწვეულ ხარჯების დასაფარავად. (დ. ს.)

**დამფუძნებელი კრების კანცელარია** შეუდგა მასალებისა და წარსულ სესიაში ნამუშევარას სისტემაში მოყვანას.

**სოხუმიდან მთავრობის თავმჯდომარის სახელზე** აფხაზეთის ქალაქთა და ერობათა ყრილობისაგან მისალმების დეპეშა მოვიდა.

**ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველო იუწყება,** რომ მის მიერ დაწყებულია ყველა ტელეგრაფის ხაზის შეკეთება.

**საფრანგეთის მისია სომხეთში.** საფრანგეთის სამხედრო მისიის უფროსი პოლკ. კორბეილი და თფილისში მყოფი საფრანგეთის კონსული დაუი ნეიტმანი, საფრანგეთის უმაღლეს კომისრის დროებით წარმომადგენლად სომხეთში დანიშნული, რამდენიმე ფრანგ ოფიცრის თანხლებით აგვისტოს 21 თფილისიდან სომხეთს გაემგზავრნენ.

**სოხუმიდან** ქალაქთა კავშირმა მიიღო დეპეშა სოხუმის მეტად მძიმე სასურსათო მდგომარეობის შესახებ. სოხუმის ქალაქის თვითმართველობა 4 მილიონ მანეთს სესხ თხოულობს. ქალაქთა კავშირმა აცნობა, რომ შუამდგომლობა დაკმაყოფილებულია და სოხუმს აღნიშნული კრედიტი გახსნილი აქვსო.

**პროფ. კავშირთა საბჭოს სხდომაზე** დაამტკიცეს ძირითადი დებულებანი მუშათა საერთო კოოპერატივ ორგანიზაციის პროექტისა. პროექტის შემმუშავებელ კომისიასვე მიენდო პროექტის პრაქტიკულად განხორციელება. ამავე სხდომაზე სატარიფო პალატის მუშათა სექციაში საბჭოს წარმომადგენლებათ აირჩიეს: ბერეჟიანი, საფარიანი და ვაჩნაძე.

**გზატკეცილები და შარა გზები.** მთავრობამ მოისმინა პროექტი კანონისა ზოგიერთ გზატკეცილებისა და შარაგზების ერობის გამგებლობიდან გზათა მიმოსვლის დეპარტამენტის გამგებლობაში გადაცემის შესახებ. პროექტი მთავრობამ მოიწონა. ამასთანავე მან დაადგინა გადასდოს 5 მილ: მან. ამ გზების შესაკეთებლად და შესანახად. სათანადო პროექტი დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს დამფუძნებელ კრებას. (დს)

**სანიტარული დათვალიერება.** მეშვიდე სამილიციო უბნის სანიტარულ მზრუნველობის საბჭოს წევრთა უბნის ექიმი, მისი თანაშემწე და ადმინისტრაციის წარმომადგენელთა მიერ 22 აგვისტოს კვირას მოხდება უბნის მთლიანად დათვალიერება. ზემო აღნიშნულ პირთა შეკრება შეხვედრა მოხდება დილის 8 საათზე კახეთის ქ. № 1. ავლაბრის მუშათა კლუბში.

**თავდაცვის საბჭომ** განიხილა სამხედრო მინისტრის მოხსენება მობილიზაციით გაყვანილ ექიმების აფიცრების და სამხედრო მოხელეებისათვის 3000 მანეთის ერთდროულ დახმარებად მიცემის შესახებ და დაადგინა; დასახელებულ პირთ მიეცეთ ერთდროული დახმარება შემდეგი წესების დაცვით: მიეცეთ ისეთ პირთ, რომელთაც არ მიუღიათ ერთდროული დახმარება იმ დაწესებულებებიდან, რომელშიაც მობილიზაციამდე მსახურებდენ და იმათაც რომლებიც წინად არსად არ მსახურებდენ. ჯარის ნაწილებმა უნდა წარმოადგინონ იმათი საბუთები, რომელთა ერთდროულ დახმარებასაც გამოითხოვს.

**გზათა უწყების დეპარტამენტმა** მიწად მოქმედების სამინისტროს ასეთი განცხადებით მიმართა: რკინის გზის წესების მიხედვით კერძო პირთა საქონელს რკინის გზის ლიანდაგის რაიონში შემოშვება ან გადატარება აკრძალულია. მიუხედავად ამ წესებისა მეპატრონეები ამას ყურადღებას არ აქცევენ. რკინის გზის მოსამსახურეებს არა აქვთ საშუალება საქონელს თვალყური ადევნონ და ამიტომ ხდება რომ ხშირად პირუტყვი მატარებლის ქვეშ მოყვება, რაც აფერხებს რკინის გზის მოძრაობას. ვაუწყებთ რა ამას, გთხოვთ გასცეთ სათანადო განკარგულება სამაზრო და საადმინისტრაციო ორგანოებისადმი, რომ იმათ აუხსნან ხალხს რკინის გზის ეს წესები.

**მე-6 რაიონული კოლექტივი** თავის რაიონის გაზეთების ხელმომწერლების საყურადღებოთ აცხადებს, რომ გაზეთების დარიგება შეწყვეტილია 15 აგვისტოდან და სთხოვს ამის შემდეგ არ მისცენ გაზეთის დამტარებელს გადასახადი ფასი. ანგარიშს ხელის მომწერლებთან გაასწორებს თვით კოლექტივი.

**გამოვიდა გაზეთი „სოფლის მუშა“,** რომელშიაც მოთავსებულია შემდეგი წერილები: 1) მეთაური—„ჩვენი მუშების გამგზავრება ევროპასა და რუსეთში“; 2) „სოციალდემოკრატიის ეკონომიური პოლიტიკა“—სტ. ელიავასი; 3) „მევენახეთა საყურადღებოთ“—კ. ბერეკაშვილისა; 4) „საუბარი სოფლის მუშასთან“—ივ. გომართელისა; 5) „მთიულეთის მარქსი“—დ. თურდოსპირელისა; 6) „ბოლშევიზმი და კომუნიზმი“—ი. მაჭავარიანისა და სხ.

**კრებები.**

— ორშაბათს, 23 აგვისტოს, დანიშნულია ქალაქის საბჭოს ს. დ. ფრაქციის სხდომა. რომ საბჭოს სხდომის დაწყება არ დაგვიანდეს, სთხოვენ ამხანაგებს სრულ 6 საათზე გამოცხადნენ ფრაქციის სხდომაზე.

ორშაბათს, 23 აგვისტოს, საღ. 6 ს. დანიშნულია თფილისის მუნიციპალურ მუშა-მოსამსახურეთა აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა სხდომა.

— დღეს, 22 აგვისტოს, დილის 9 ს. ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტის შენობაში შედგება ავლაბრის რაიონის სანიტარული საბჭოს კრება, რომელსაც უნდა დაესწრონ სანიტარულ საბჭოს ყველა წევრნი.

## ნეკროლოგი.

**შალვა გიგინეიშვილისა.**

31 ივნისს 1920 წ. სოფელ მლაშიდან გავედით მე-4-ხე ქ. ათასეული წინა ხაზის დასაკავებლათ აჭარის ფრონტზე.

1 ივლისს ეს ჩვენი სასიქადულო ლეიტენანტი წავიდა ერთი ტყვიის მფრქვეველთა მწყობრით და მასთან ერთად 30 კაცისაგან შემდგარი ნახევარი გუნდი, რომელსაც უნდა დაეჭირა მტრის მაღლობი ადგილი. მეორე დღეს, ესე იგი, 2 ივლისს, ის, ზემო აღნიშნული ძალით შეუდგა დანიშნულ ადგილის აღებას: როდესაც დაუახლოვდნენ მტერს, მან ასტეხა საშინელი სროლა. ჩვენი გმირი ლეიტენანტი არ შეუშინდა მტრის ასეთ შემოტევას და უბრძანა ჯარს მედგრათ წინ წასულიყო. მთელი სამი საათის ბრძოლის შემდეგ ლეიტენ. გიგინეიშვილმა დაიკავა ის მაღლობი ადგილი, რომლის დაკავებაც ნაბრძანები იყო და გაშალა ჯარი.

ერთი საათის შემდეგ მტერმა მოიკრიბა ძალა, შემოუარა ტყიდან და შემოერტყა ირგვლივ. როდესაც მან დაინახა ასეთა მდგომარეობა მან ბრძანება მისცა ჯარს, რომ ხელ მეორეთ შეეტიათ, და შესძახა თავის ტყვიისმფრქვეველთა მწყობრს: ან სიკვდილი და ან გამარჯვება მტერზეთ.

ამის შემდეგ გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა. მტერს თანდათან ემატებოდა ძალა და საომარი ადგილებიც ხელს უწყობდა მათ. ამ საშინელ ბრძოლის ხაზზე ლეიტენანტ გიგინეიშვილი მედგრათ დასტრიალებდა თავზე თავის მებრძოლებს და თავიც არ დაუხრია ძირს, ისე აღტაცებით, შეუპოვრათ ამხნევებდა თავის ტყვიის მფრქვეველ მწყობრს.

სასტიკი ბრძოლაში ლეიტენანტ გიგინეიშვილი იქმნა მტრის ტყვიით განგმირული და სული დალია.

საუკუნო განსვენება და სამუდამოთ დაუვიწყარი სახელი ჩვენს ძვირფას და დაუვიწყარ ლეიტენანტს, რომელმაც სამშობლოს სიყვარულს თავი შესწირა როგორც შეპფერის სამშობლოს მოსიყვარულე ქართველ ხედარს.

მე-4-ხე ქვეითა ათასეულის ტყვიის მფრქვეველი გუნდის ჯარის კაცები.

## უცხოეთი

**უნგრეთი.**

**ბოიკოტის გარშემო.** უნგრეთის ყოფილმა პრემიერმა გუსარმა განაცხადა, უნგრეთის ბოიკოტი ჰოლანდიელმა ებრაელმა კომუნისტებმა მოაწყვესო. პროფესიონალურ ინტერნაციონალის მდივანმა ამხ. ედო ფიმენმა სათანადო პასუხი გასცა გუსარს, მისდამი მიმართულ ღია ბარათში: „ბოიკოტის ერთად ერთი მიზანია: დაერწმუნებიათ გუსარი და მისი ამხანაგები, რომ საჭიროა მათივე საქმეების ისე დაყენება, როგორც მათი სარწმუნოების პრინციპებს შეეფერება და თავისი გავლენა იხმარონ იმ საშინელებათა მოსასპობათ, რომელსაც უნგრეთში სჩადიან. ეხლა თქვენ აღიარებთ, რომ უნგრეთში თეთრ ტერორს ადგილი აქვს და ჰქონდა. თქვენ რომ პრემიერი იყავით, მაშინ კი უარჰყოფდით ამას. ნუ თუ არ იცოდით რა ხდებოდა?

ფიმენი წერილში შემდეგ ჩამოსთვლის ტერორის ეპიზოდებს და მსხვერპლებს, და ეკითხება, შეუძლია მას უარჰყოს ეს ცნობები.

მე შემიძლიაო, ამბობს შემდეგ ფიმენი თავის წერილში, დაუთავებლათ გაძლიოთ კითხვები, მაგრამ საკმაო ერთი, სახელდობრ: თქვენ, გუსარს შეგიძლიათ ყოველივე მოიმოქმედოთ, რომ თქვენი საქმეები არ განირჩეოდეს თქვენი ლამაზ სიტყვებისგან: შეგიძლიათ თქვენ შესწყვიტოთ პოლიტიკური დევნა და გაანთავისუფლოთ პატიმარნი?

თუ შეგიძლიანთ, მაშინ მიიღეთ ზომები მთავრობამ მოგვცეს გარანტიები, რომ თქვენი ქრისტიანულ ბანაკიდან გამოსულ ხალხს საფრთხე არ მოელოდეთ. თქვენ დიდ დახმარებას გაუწევთ თქვენ სახელმწიფოს, თუ თქვენ ჩემ მომართვას პასუხს საქმით გამცემთ. („ჰუმანიტე“).

**იტალია.**

**შრომის კონფედერაცია ანარქიულ ელემენტების წინააღმდეგ.** გაზ. „ავანტი“-ს 7 ივლისის ნომერში დაბეჭდილია შრომისერთაშორისო კონფედერაციის მდივანის წერილი იმის შესახებ, რომ ხსენებულმა კონფედერაციამ უარი განაცხადა მონაწილეობა მიიღოს მუშათა ორგანიზაციების კონფერენციაში, რომლის მოწვევაც განზრახული იყო ქ. გენუაში. ამ კონფერენციაზე უნდა შეემუშავებინათ ალბანეთში ექსპედიციის გაგზავნის და პოლონეთისთვის იარაღის მიწოდების წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლათ და უნგრეთის ბოიკოტის უკეთესად ჩასატარებლათ პროგრამა.

შრომის საყოველთაო კონფედერაცია ამბობს, რომ კონფერენციაზე აგრეთვე მოიწვიეს ანარქიული ჯგუფები, რომლებიც ემზადებიან პროლეტარიატი წაიყვანონ აბნეულ გზაზე არსებულ პარტიათა და ორგანიზაციათა გარეშე.

პარტიაც ასე მოიქცა. რკინის გზების და მეზღვაურებისადმი მიმართ გამოქვეყნებულ წერილში პარტიის მდივანი აღნიშნავს, რომ შრომის საყოველთაო კონფედერაციის ნაბიჯი სავსებით დასაბუთებულია. პარტიის გამგეობა თავის მხრით აცხადებს, რომ მას შეუძლია მუშაობა მხოლოდ იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან თავისი მოქმედებისათვის.

**ჩეხოსლოვაკია.**

სოც.-დემ. პრესა იუწყება, რომ ჩეხოსლოვაკიის ქარხანა „ბატიას“ კრასინმა დიდძალი ფეხსაცმელი შეუკვეთა, რაშიაც ოქროთი გადაიხდის ფულს. პრესა ამას უწოდებს სავაჭრო ურთიერთობის დაწესებას რუსეთთან. გლეხთა ორგანო „ვენკოვი“ წინადადებას იძლევა, ისარგებლონ პოლონეთის დამარცხებით და მტკიცე სავაჭრო ურთიერთობანი დაამყარონ საბჭოთა მთავრობასთან. სდგება ოფიციალური კომისია კოოპერატივების, პროფეს. კავშირების და მსხვილი ფირმების წარმომადგენელთაგან კრასინთან მოლაპარაკების საწარმოებლათ. რუსეთში გაიგზავნება აგრეთვე პოლიტიკური დელეგაცია იქაურ სოციალურ და პოლიტიკურ პარტიების შესასწავლათ. როგორც ამბობენ, დელეგაციაში შევლენ ჩეხო-სლოვაკიის მუშათა ორივე პარტიის—სოც. დემ და ნაციონ. სოც. წარმომადგენლები.

**ისპანია.**

ისპანიის პროფეს. კავშირთა ცენტრმა გადასწყვიტა დარჩეს პროფესიონალურ ინტერნაციონალის ფარგლებში, რომელსაც მეთაურობს ამსტერდამის საერთაშორისო ბიურო. („იუმანიტე“).

**დანია.**

ივლისში დასრულდა დანიის პარლამენტის არჩევნები. ლიბერალებმა მიიღეს 52 ადგილი, სოციალისტებმა—42, კონსერვატორებმა—26, რადიკალებმა—16, ვაჭარ-მრეწველთა პარტიამ—4 სოციალისტებმა ყველა თავისი წინანდელი ადგილები შეინარჩუნეს.

## პროფ. კავშირებში

**საქ. პროფ. კავშირთა ცენტრალურ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.**

ერთი კვირის მუშაობის შემდეგ ბათომიდან დაბრუნდა აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი ალ. ხელაძე, რომლის მოხსენებით ბათომში მუშათა პროფესიონალური მოძრაობა თან და თან დგება ნორმალურ კალაპოტში. ამ ჟამად ბათომში დაარსებულია 22 პროფეს. კავშირი, რომელშიდაც შეკავშირებულია საერთო რიცხვით 9.000 მეტი მუშა. ამათში უფრო ძლიერ კავშირებათ ითვლებიან ლითონზე მომუშავეთა კავშირი, სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეების კავშირი, ხელზე მოსამსახურეთა კავშირი და ბეჭდვითი საქმის მუშათა კავშირი. კავშირები გაერთიანებულია ცენტრალურ საბჭოში. თუ დღევანდლამდე ბათომის პროფ. კავშირები დაჩაგრული იყო, მათი ხელმძღვანელები გახიზნულიყენ დევნას და იძულებული იყვნენ ფარული მუშაობა ეწარმოებინათ, დღეს გზა გახსნათ მათ ფართო შემოქმედებითი მუშაობისათვის. უკვე გადაეცათ კავშირებს მარიინის ქუჩაზე მშვენიერი შენობა მუშათა სასახლისათვის, რომელშიაც ყველა კავშირები, თავისი უმაღლესი ორგანოთი, ერთად მოთავსდებიან. აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით დამხმარე ძალათ, პროფესიონალურ კავშირებში სამუშაოთ იგზავნება ამხ. ქოსაშვილი.

## „წითელ“ აზერბეიჯანში

(გაზეთებიდან)

**თათრების დევნა შევიწროება აზერბეიჯანში.** ჩვენ ხელში ჩაგვივარდა საბჭოთა მეთერთმეტე არმიის მთავარსარდლის ლევანდოვსკის ბრძანება ამა წლის 8 ივნისის თარიღით. ხსენებულ არმიის ნაწილებისადმი. ბრძანებას ხელს აწერს აგრეთვე რევკონსოვეტის წევრი ი. ვესტნიკი და არმიის საველე შტაბის უფროსს ვორონკოვს. ბრძანება ასე იწყება:

„აჯანყებულთა პარტიზანულ მოქმედების მძიმე პირობები დამღუპველ გავლენას ახდენს ჩვენი ჯარის ნაწილებზე. თანდათან ხშირად სჩადიან წითელ არმიელები „მორადიორობას და მცარცველობას; ხშირათ ანადგურებენ მეჩეთებს და მაჰმადიანთა წმინდა ადგილებს და საგნებს.

წითელ არმიელები, სარდლები და სამხედრო კომისრები აჰყვენ მაჰმადიანთა აჯანყებულ ნაწილებისადმი მძულვარების გრძნობას და ბრძოლას სარწმუნოებრივი და ნაციონალური ხასიათი მისცეს. ასე მაგალ.. სიამოვნებით სარგებლობენ სომხების დახმარებით, რომელნიც ხელს უწყობენ თათრების მოსპობას, მიუხედავათ იმისა, რომ სომხები ხელმძღვანელობენ მხოლოდ ეროვნულ შურის გრძნობებით და არა მშრომელთა რევოლიუციის დიადი მიზნებით. იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა არ ღებულობენ ზომებს იმ სომხების წინააღმდეგ, რომელნიც სცარცვავდენ თათრების მიერ მიტოვებულ სოფლებს“

დასასრულ არმიის მთავარ-სარდალი კიცხავს ჯარის ასეთ საქციელს, მოუწოდებს რა პოლიტიკურ შეგნებისკენ, წინადადებას აძლევს შესწყვიტონ ცარცვა გლეჯა და მაჰმადიანების აწიოკება, მეტის პატივისცემით მოეპყრან მათ რელიგიის და სარწმუნოებრივ სიწმინდეს.

**სუბბოტნიკები**". სუბბოტნიკების მოწყობის საქმეებს ხელმძღვანელობს განსაკუთრებული ბიურო, რომელიც—ემორჩილება აზერბეიჯანის კომუნისტურ პარტიის ბაქოს კომიტეტს.

**სახარგებლოთ „სუბბოტნიკი“.** ქალაქის დიდი კრიზისის გამო, იუსტიციის სახალხო კომისარიატის მ. სამ. ახ-

**კონსტიტუციური მონარქია** (1871 წ.) [illegible]

ირჩევა 4 წლით. საარჩევნო უფლება [illegible]

საჭიროებს კანონს. პრეზიდენტი ნიშნავს და ითხოვს მინისტრებს და კანცლერს (პრემიერს): არსებობს **პოლიტიკური პარლამენტარული პასუხისმგებლობა რეიხსტაგის წინაშე,** როგორც თვითეული მინისტრის, ისე მთელი სამინისტროსი, რომლის პოლიტიკის მიმართულებას საზღვრავს კანცლერი.

თუ პრეზიდენტი მოითხოვს ერთს თვეში, რეიხსტაგის მიერ მიღებული კანონი **სარეფერენდუმოდ ხალხს უნდა გადაეცეს.** საერთოდ ხალხის შეკითხვას და მისი დასტურის მიღებას დიდი ადგილი აქვს დათმობილი გერმანიის კონსტიტუციაში. ხალხის შეკითხვის უფლება აქვს როგორც რეიხსტაგს, ისე პრეზიდენტს სხვა და სხვა შემთხვევაში. ამომრჩევლებსაც აქვს უფლება პირდაპირ ჩარევისა კანონმდებლობაში.

მართვა-გამგეობის საქმეში და მთელი რესპუბლიკის სხვა და სხვა მეურნეობის (რკინის გზა და სხ.) გაძღოლაში დიდს როლს თამაშობენ **დამხმარე საბჭოები.**

მოსამართლენი ექვემდებარებიან მხოლოდ კანონს, გადაუყენებელნი და დამოუკიდებელნი არიან. არის რესპუბლიკის სახელმწიფო სასამართლო.

უზრუნველყოფილია პიროვნების და მოქალაქის ყველა უფლებები.

**ეროვნულ უმცირესობის** დაუბრკოლებლივ განვითარების თავისუფლებას აღიარებს კონსტიტუცია.

აქ უდიდესი ყურადღება აქვს მიქცეული **სოციალურ-ეკონომიურ უფლებებს.** ამით გერმანიის კონსტიტუცია თითით საჩვენებელია ყველასათვის. „ეკონომიური ცხოვრების წყობილება სამართლიანობის პრინციპებზე უნდა იყოს აგებული“. აი ასეთია სახელმძღვანელო დეკლარაცია კონსტიტუციისა. მაგრამ ეს დებულება მაქსიმალისტურ კალაპოტში არ ვარდება და ფრთხილად ანგარიშს უწევს არსებულ სინამდვილეს.

კონსტიტუციით უზრუნველყოფილია **მუშათა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს არსებობა** განსაკუთრებულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ეკონომიურ საბჭოს დიდი მნიშვნელობა ეძლევა.

ხელოვნება, მეცნიერება, სწავლა-განათლება რესპუბლიკის განსაკუთრებულ მფარველობის ქვეშ იმყოფება. სახელმწიფო ეკლესია არ არსებობს. სარწმუნოების და სინიდისის თავისუფლება და სარწმუნოებრივი კავშირის უფლება სრულია. სარწმუნოებრივ საზოგადოებებს აქვთ მინიჭებული საჯარო-უფლებრივი ხასიათი.

კონსტიტუცია შეიძლება შეიცვალოს კანონმდებლობის გზით. ამისთვის საჭიროა რეიხსტაგის წევრთა ორი მესამედის დადგენილება. რეიხსტაგს შეუძლიან აღძრას კონსტიტუციის შეცვლის საკითხი, მხოლოდ უნდა იქნეს მიღებული ხმათა ორი-მესამედის უმრავლესობით. ხალხის მოთხოვნის თანახმად შეიძლება კონსტიტუციის გადაშინჯვა სახალხო კენჭის ყრით გადაწყდეს. როცა რეიხსტაგი ღებულობს კონსტიტუციის გადაშინჯვას რეიხსტაგის პროტესტის მიუხედავად, პრეზიდენტი ამ გადაშინჯვის კანონს ვერ გამოაქვეყნებს, თუ ორი კვირის განმავლობაში რეიხსრატი მოითხოვს მის სარეფერენდუმოდ ხალხისთვის გადაცემას.

როგორც ითქვა, გერმანია მრავალ ავტონომიურ რესპუბლიკისაგან შესდგება. თავის თავად ცხადია **მისი დეცენტრალისტური ბუნება.** თვითმართველობას საკმაოდ ფართო უფლებები ჰქონდა ჯერ ძველი წყობილების დროსაც. დღეს რესპუბლიკის და დემოკრატიის დროს ცხადია თვითმართველობის უფლებრივი ავტონომია სავსებით უზრუნველყოფილია. დემოკრატიული თვითმართველობა მოწოდებულია სახელმწიფოებრივი მართველობისა და აღმშენებლობისათვის კულტურულ, სოციალურ-ეკონომიურ და საზოგადოებრივ ცხოვრების დარგებში.

დღეს გერმანიის ხალხი საშინელ პირობებში იმყოფება. გამარჯვებულნი აღარ ინდობენ და ვაი დამარცხებულთ! მაგრამ გერმანიის ხალხის უნარი და ნიჭიერება თავდებია იმის, რომ იგი ამ მდგომარეობას გადაიტანს და ახალი სახელმწიფოური წესწყობილების მეოხებით განახლებული და გაძლიერებული მოევლინება კაცობრიობას.

ნ. საქარელი.

ავეჯეულობის და ჭურჭლეულობის სავაჭრო
ა. ი. მაჭარაძის და ვ. ა. წოწონავასი
ქ. ბათუმი დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩა № 26
სადაც მოიპოვება ყოველ გვარი ავეჯეულობა: და ჭურჭლები შუშის, ფარფორის, ფაიანსის, ემალის, ალიუმინის და სხვ. ვყიდულობთ და ვყიდით ყოველნაირ ავეჯეულობას.
(2396— 10—2)

რეებმა ძველი საქმეების არქივებიდან ამოიღეს 39,800 ფურცელი ცალ გვერდზე დაუწერელი ქაღალდი. („კომ." № 73).

**სალამი „წითელ" ირანს.** ადერბეიჯანის რევკომის თავმჯდომარეს ირანის რევკომის თავმჯდომარისგან მოუვიდა მოლოცვის დეპეშა, რომელზედაც ნარიმანოვმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „წითელი ადერბეჯანის მთავრობა მიესალმება წითელ ირანის ახალ მთავრობას და იმედოვნებს, რომ იგი მალე აფრიალებს თეირანში საბჭოთა მთავრობის წითელ დროშას."

**სომხეთ-ადერბეიჯანის კონფერენცია.** სომხეთის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა ადერბეიჯანში არუთიუნიანცმა რადიოთი შემდეგი ცნობა გაუგზავნა ერევანში სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს: „საგარეო საქმეთა კომისარი ჰუსეინოვი წინადადებას იძლევა—სომხეთ-ადერბეიჯანის კონფერენცია 20 აგვისტოსთვის იქნეს მოწვეული. თანახმა არ არიან, რომ ეს კონფერენცია თფილისში შესდგეს. წინადადებას იძლევიან კონფერენცია ყაზახში მოვიწვიოთო. ადერბეიჯანის მხრით კონფერენციაზე დანიშნული არიან თავმჯდომარე იბრაჰიმ აბილოვი, წევრები: ლომინაძე და მიკოიანი. საგარ. საქ. სახ. კომისარი ჰუსეინოვი ერევანში გზავნის თავის წარმომადგენლად დოვლათოვს და მდივანს სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან მოსალაპარაკებლად, სომხეთში ადერბეიჯანის მისიის მოქმედების განახლების შესახებ". („კომ." № 88.)

**პასუხისმგებელ მუშაკთა სასადილო.** ადერბეიჯანის რევკომმა 2 მილიონი მან. გადასდო საბჭოთა პასუხისმგებელ მუშაკთათვის ცალკე სასადილოს მოსაწყობად.

**წიგნების მოკრება.** 12 აგვისტოს ბაქოში გამართეს „წიგნის დღე" მთელი დღის განმავლობაში კონცერტ მიტინგებზე, თეატრებში და სხ. „გრუზოვიკებით" კრებდენ მცხოვრებლებში წიგნებს. („კომ." № 88.)

**ფოსტა ტელეგრაფი.** შეიმუშავეს გეგმა ბაქოს და პროვინციის ყველა მნიშვნელოვან პუნქტების ტელეფონით და ტელეგრაფით გაერთიანებისა, მაგრამ ამ გეგმის განხორციელება ვერ ხერხდება მცოდნე ტეხნიკურ ძალების უყოლობის გამო.

**სასურსათო ბარათები.** 1 სექტემბრიდან შემოღებულ იქნება ბარათების სისტემა ყოველგვარ საგნების მისაღებათ. („კომ." № 88).

**უცხოელთა საქონელი.** გამოიცა დადგენილება, რომ უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომების საქონელი, რომელიც აღრიცხულია „ვნეშტორგის" მიერ, უკანასკნელის ნება დაურთველათ არავის მიეცემა: („კომ. № 88).

**დეზერტირი „ვოენ. მორები".** ბაქოს „კომუნისტ"-ის № 88-ში მე-4 გვერდზე „მთავრობის უწყებათა" შორის მოთავსებულია ასეთი განცხადება:

**ყველას ვინც იცის სად ცხოვრობენ დეზერტირი ვოენმორები:** ინატოვი ალექსანდრე (კასპიის ზღვის ჰიდრო-ავიაციონურ რაზმის უფროსი), ჟუჩკოვი ვლადიმირ (საჰაერო დივიზიონის უფროსი), აგანჯანოვი დანგირი („სრედნე-ეგიჩეენი" ზღვის მოძრავ კანდელის უფ.) გთხოვთ აუწყოთ „დეზერტირობა"-სთან მებრძოლ ცენტრალურ კომისარიატს, მარკონის ქ. № 7. იმავე გაზეთში ყოველდღე იბეჭდება ასეთი „უწყებანი" დღეში 3—6 და ხან უფრო მეტი პასუხის მგებელ მუშაკთა დეზერტირობის შესახებ.

**პირველ საჭიროების საგნების გაცემის შეწყვეტა.** ადერბეიჯანის „სოვნარხოზ"-ის ბრძანება № 4582. სხვა და სხვა სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა მიერ წარმოდგენილი აურეველი მოთხოვნილება სხვა და სხვა საქონლის გაცემის შესახებ, ადერ. სოვნარხოზს საშუალებას ართმევს შეიმუშავოს დაწესებულებათათვის საჭირო საქონლის მომარაგების გეგმა.

ამის გამო საყოველთაოდ ცხადდება, რომ 20 აგვისტოდან „სოვნარხოზი" სწყვეტს ყოველივე საქონლის, მასალების და საგნების გაცემას ცალკე დაწესებულებათა და პიროვნებათა მოთხოვნილებებით.

შემდეგში საქონელს გასცემენ მხოლოდ შემუშავებულ გეგმის თანახმათ მე-11 არმ. რევოენ სოვეტის დაკომპლექტის ნარიადებით და იმ პირობით, რომ წინასწარ იყოს წარმოდგენილი დაწესებულებების მიერ ცნობა იმის შესახებ, თუ რამდენი სჭირდებათ მათ 1921 წ. 1 იანვრამდე.

## ს. დ.-პარტიაში

**გომი (გორის მაზრა).**

15 აგვისტოს შესდგა გომის სოც.-დემ. მუშათა პარტიის ყველა წევრთა კრება, სადაც ვრცელი მოხსენება გააკეთა დელეგატმა ქარცივაძემ მეორე პარტიული ყრილობის მუშაობის შესახებ.

კრება კმაყოფილი დარჩა მოხსენებით და მიიღო შემდეგი რეზოლუცია: ს. ს. დ. მუშათა პარტიის გომის ორგანიზაციის წევრთა საერთო კრებამ მოისმინა რა მოხსენება ამხ. ვ. ქარცივაძის ს. ს. დ. მ. პ. მეორე ყრილობის მუშაობის შესახებ, გამოსთქვა სრული კმაყოფილება და მოუწოდებს ყველა ძირითად ორგანიზაციებს და პარტიის ყველა წევრთ გაცხოველებული მუშაობით სავსებით გაატარონ ცხოვრებაში ყრილობის მიერ მიღებული დადგენილებები.

მოხეტიალე რაჭველი.

—

**ბორჯომი.** 3 აგვისტოს მოხდა ბორჯომის რაიონის ს.-დ. პარტიის კოლექტივის წევრების კრება.

რკინის გზის ორგანიზაციიდან მოხსენებას აკეთებს ა. ჩიხლაძე. ის აღნიშნავს, რომ კრებები ხდება სისტემატიურათ, მხოლოდ არის პარტიის წევრებში ერთგვარი უკმაყოფილება იმის გამო, რომ პარტიის ზოგიერთი წევრები რკინის გზის პროფესიონალურ კავშირში არ ასრულებენ კოლექტივის დადგენილებას, ამის შესახებ კოლექტივმა დაადგინა მოსთხოვოს პასუხი პარტიის წევრებს დისციპლინის დარღვევის გამო.

ბაკურიანის კოლექტივიდან მოხსენებას აკეთებს ა. კაპანაძე, ის ამბობს: ჩვენში კრებები ხდება სისტემატიურათ, ცახის ჯვარში უკვე მოეწყო იაჩეიკა და ეწყობა კიდევ სხვა სოფლებში.

ბორჯომის სახელმწიფო მამულის ხის მჭრელების და მიწის მუშების მდგომარეობაზე სახელმწიფო მამულის სამმართველოსთან, მოხსენებას აკეთებს კ. შახნაზაროვი. კოლექტივმა დაადგინა: დაევალოს კ. შახნაზაროვს შემოიტანოს მოხსენება წერილობით, მოხსენება გაეგზავნოს გორის სამაზრო კომიტეტს რომ მან იშუამდგომლოს საქ. სოც. დემ. მ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წინაშე, რაც შეიძლება გამოკეთებულ იქნას ბორჯომის მამულის ხის და მიწის მუშების მდგომარეობა მიწათ-მოქმედების სამინისტროს მიერ. ბორჯომის მამულის სამმართველოს ნაციონალიზაციის შესახებ. მოხსენებას აკეთებს შ. აბაშიძე. კოლექტივმა დაადგინა: დაევალოს ვიქ. ლონტს და კ. შახნაზაროვს შეადგინონ ამის შესახებ შესაფერი რეზოლუცია, რომელიც გაეგზავნოს გორის სამაზრო კომიტეტს, რომ უკანასკნელმა იშუამდგომლოს საქ. სოც.-დემ. მ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წინაშე, რომ დაჩქარებით მოახდინოს მიწათ-მოქმედების სამინისტრომ ნაციონალიზაცია ბორჯომის სახელმწიფო მამულის სამმართველოში.

გორის სამაზრო კომიტეტიდან მოხსენებას აკეთებს ვ. ბაქრაძე. მოხსენება ცნობად იქნა მიღებული.

კოლექტივის წევრების კრებაზე დაუსწრებლობის შესახებ კოლექტივმა დაადგინა, კიდევ მიეცეს წინადადება და გაფრთხილება კოლექტივის წევრებს რომ წესიერად იარონ სხდომებზე თორემ უკიდურეს შემთხვევაში გამორიცხულ იქნებიან კოლექტივის წევრობიდან. პარტიის წევრების საზოგადო კრება დანიშნულია 10 აგვისტოს.

კოლექტივმა დაადგინა: დაევალოს ვიქ. ლონტს, ვ. შახნაზაროვს, ლ. ანდღულაძეს, დ. ზაქრაძეს და ა. ჩიხლაძეს, მოაწყონ სეირნობა და წარმოდგენა კოლექტივის სასარგებლოთ.

კ. დინჯაძე.

## მუშათა შორის

**სოხუმი.** სოხუმის თამბაქოს მუშების მდგომარეობა ყოველთვის უნუგეშო იყო და დღესაც ისეთივეა. თვით სამუშაოც დიდათ განირჩევა სხვა სამუშაოდან. იყო მუშებიდან მოთხოვნილება, რომ შეემცირებიათ მუშაობის დრო, იყო არჩეული კომისია: ყველა დაწესებულებიდან ექიმებთან ერთად. შეუძლებლად სცნეს რვა საათის მუშაობა და შესცვალეს ექვსი საათით. გამოაცხადეს აუგილობრივ გაზეთში და მუშებმაც განაგრძეს მუშაობა კომისიის დადგენილების თანახმად. გაგრძელდა მუშაობა ერთ კვირას ექვსი საათის დროთი. ეს არ მოეწონათ. მუშებს განუცხადეს: იმუშავეთ ძველ პირობებშიო. რაც შეეხება კომისიების დადგენილებას, ის წარდგენილია შრომის სამინისტროში და დამფუძნებელმა კრებამ უნდა დაამტკიცოსო. მუშებიც სიამოვნებით დასთანხმდენ, მაგრამ სამი ოთხი თვე გადის მას შემდეგ და პასუხი არსაიდან ისმის:

ვფიქრობთ, შეიძლება არ წარუდგენიათ. თუ წარადგინეს, პასუხი სად არის? იყო შემთხვევა, როცა მომარაგების სამინისტროს წარმომადგენელს ბ. ცხაკაიას მუქარით მიუმართავს მუშებისთვის. ერთი კიდეც დაატყვევა,— ვ. კუცია, რომელიც მუშების შუამდგომლობით იქნა განთავისუფლებული. მუშების მდგომარეობა ვერაა მოწყობილი ისე, როგორც უნდა იყოს. პროტექციის და ნაცნობობას დიდი გასავალი აქვს.

მ. სილუა.

## პროვინცია

**სიმართლე ახტალაზე,**

ეს მეორეხელ არის, რომ ახტალის სამკურნალო ტალახებით ვსარგებლობ, და ამიტომ უფლებას ვაძლევ თავისთავს გაუზიარო მკითხველებს ჩემი დაკვირვება მოსაზრებანი იმათ საკურნალო მნიშვნელობასა და იმ ცხოვრების პირობებზე, რომელიც შექმნილია აქ ამ ორი წლის განმავლობაში სიღნაღის ერობის ინიციატივით.

ლაპარაკიც ზედმეტია იმაზედ, რომ ახტალის ტალახებს ეკუთვნით ამ ჯურის სამკურნალო საშუალებათა რიგში ერთი უპირველესი ადგილთაგანი არა თუ მთელს კავკასიაში, არამედ მთელს სამხრეთ რუსეთსა და ევროპაშიაც, თავიანთი განსაკუთრებულის შემადგენლობითა და თვისებებით დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ახტალის ტლაპო წარმოადგენს უებარ საშუალებას მრავალ სენთა და განსაკუთრებით კი ქარების წინააღმდეგ (რევმატიზმი). მე თვითონ ვიცი არა ერთი და ორი მაგალითი ახტალის ტლაპოს სასწაულებრივი მოქმედების, როცა ქარებისაგან სრულიად დაკუტული, საპყარი ავათმყოფნი, რომელნიც საკაცით დაჰყავდათ აბანოზე, იმდენად მოკეთებულან 15—20 ბანაობის შემდეგ, რომ ჯოხის საშუალებით დაუწყიათ სიარული. თვითონ მე, თქვენი მორჩილი მონა, რამდენსამე წლის განმავლობაში შეპყრობილი „იშიასით" (ბარძაყის უკანა დიდი ნერვის ქარებით), რომლისაგან გამოწვეული უსასტიკესი ტკივილები და კვანჩხები მოსვენებას არ მაძლევდენ, და საშუალებას მისპობდენ მცირედი მანძილის გავლისაც კი, დღეს სულ რაღაც ოციოდე ბანაობის შემდეგ იმდენად კარგად ვგრძნობ თავს, რომ თითქმის სრულიად განკურნებულად შემიძლია ჩავთვალო თავი. საუცხოვოდ მოქმედებს ახტალა ქალთა სნეულებათა წინააღმდეგაც, როგორნიც არიან საშვილოსნოს, საკვერცხეთა და ფალოპის მილთა ქრონიკული ანთებანი. ცნობილია აგრეთვე ფრიად შესანიშნავი გავლენა ახტალას ტლაპოსი ძვალთა და სახსართა ჰლექზე.

ეს მეორე წელია, რაც სიღნაღის ერობას აღებული აქვს მთავრობისაგან ნებართვა ახტალის ტალახების ექსპლოატაციისა და მოწყობისათვის, და მოსალოდნელი იყო, რომ იგი მიიღებდა ყოველგვარ ზომებს, რათა შეექმნა შესაძლებლობის საზღვრებში, რასაკვირველია, შესაფერი პირობები ამ შესანიშნავი ტალახებით მიზანშეწონილი სარგებლობისათვის. მოსალოდნელი იყო ამასთანავე, რომ ერობა, როგორც ნამდვილი დემოკრატიული ორგანიზაცია აბანოების მოწყობა-ექსპლოატაციაში იხელ მძღვანელებდა არა ფისკალური ინტერესის, ე. ი. მეტის შემოსავლის მიღების თვალსაზრისით, არამედ სახეში უნდა ჰქონოდა მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საკითხი დაუშვებელია, რომ დემოკრატიულმა თვითმართველობამ რომელსამე სამკურნალო დაწესებულებას უყუროს მხოლოდ როგორც ერთ-ერთს შემოსავლიან წყაროს და ამისდა მიხედვით შეიმუშაოს იმისი შენახვის ხარჯთ-აღრიცხვა.

ვნახოთ, რამდენად შეასრულა სიღნაღის ერობამ თავისი მოვალეობა ამ მხრივ.

დავიწყებ პირველად აბანოებიდან.

ახტალის აბანოები წარმოადგენენ სრულიად უბრალო ნაუცფათევად სახელდახელოდ გაკეთებულს ხის შენობას, რომელიც შესდგება მიწაში ოთხის მხრივ ჩარგულს სვეტებისაგან და ამ უკანასკნელებზე ლურსმით აკრულს ნახევარ-გოჯიან ლამფებისაგან („დიუმოვკები"). ამასთან ესენი (ლამფები) ისე აჩქარებით, უგულოდ არიან აკრულნი, რომ მათ შორის მოსჩანს მრავალზედ უმრავლესი ფართო ჭუჭრუტანები, აი, ამ სახის შენობაში მოთავსებულია აქეთ-იქით კედლების გასწვრივ ოციოდე აბაზანა (ვანნა) ზოგი ცინკისა და ზოგიც მინანქრიანი თუჯისა. ექვსიოდ მუშა, რომელთაც მოვალეობა მდგომარეობს ტალახის ქვაბებში გაცხელებაში, აბაზანების ტალახით ავსებაში და ტალახის მოსაბანი წყლის მოტანა-გათბობაში, იწყებს მუშაობას დილა-ადრიანად, საათის ექვსზედ და ხშირად უფრო ადრეც და ათავებს—საღამოს 7—8 საათზე და ხშირად უფრო გვიანაც-ამათი გასამჯელო არის 150 მ. დღიურად და ზედმეტი მუშაობისათვის (8 საათ. ზევით) 18 მან. საათში.

ავათმყოფი თითქმის ღია ცისქვეშ, პაპანება-სიცხეში დაუსრულებელი ლოდინის შემდეგ (ავათმყოფთათვის არ არსებობს არავითარი თავშესაფარი, რომელშიდაც მათ შეეძლოთ თავიანთ რიგს ელოდენ, თუ არ მივიღებთ ანგარიშში რაღაც ფანჩატურის მსგავსს ქვეროთი გადახურულს კარავს) იღებს მოლარისასაგან ცხელ აბაზანის (ვანის) ბილეთს, რომელშიდაც იხდის 150 მან. შედის ბოლოს აბანოში—და ჯდება გამზადებულს ტალახში. ამ წამიდან იწყება ერთი დაუსრულებელი ტანჯვა-წამება ავათმყოფისა: ჯერ ერთი რომ ათში ერთხელ თუ შეხვდება სწორედ იმ სითბოს ტალახი, რომელიც დანიშნული აქვს ექიმისაგან; უმრავლეს შემთხვევაში კი ტალახის სითბო 2—3 გრადუსით ნაკლებია დანიშნულზედ და ამ რიგად ავათმყოფს ცხელის მაგიერ სთავაზობენ გრილ ტალახს. ამ ნიადაგზედ აბანოში ხშირად შეხლა-შემოხლაც კი ხდება ხოლმე ავათმყოფთა და მუშათა შორის: უკანასკნელნი პირველთა თხოვნას, რომ ცხელი ტალახი ჩაუმატონ აბაზანს უბრალო უზნაურობათ სთვლიან და არ უსრულებენ, ავათმყოფნი კი, ძარღვებ-აშლილნი, მოთმინებიდან გამოსულნი ხშირად თავს ვერ იჭერენ და სტუქსავენ და ემუქრებიან ექიმთან ჩივილით. რასაკვირველია, მუშა ამ შემთხვევაში არაფერ შუაშია, რადგანაც იგი საბანელ ტალახის სათანადოთ დამზადებაში ემყარება ფერშლის ბრძანებას რომელიც სწორედ იმისთვის არის დაყენებული, რომ ექიმებისაგან დანიშნული სითფოს ტალახი მიაწოდოს ავათმყოფთ და თვალყური ადევნოს აბაზანაში უკანასკნელთა ყოფნის ხანგრძლივობას. ერთი უშველებელი აყალმაყალის შემდეგ, ვსთქვათ, ავათმყოფნი, ასე თუ ისე, დაკმაყოფილდნენ ტალახის სითბოთი, მაგრამ სამაგიეროდ მათ მოელის სხვა უსიამოვნებათა და ხიფათთა განცდა: როგორც ზევით მოვიხსენიე, ცხელ ტალახში ჩამჯდარი ავადმყოფი ნათლად გრძნობს ბერვას ცივი ქარისას, რომელიც თავისუფლად შემოდის აბანოს კედლებისა და სახურავის ჭუჭრუტანებიდან. რამოდენიმე ხნის შემდეგ, რომლის განსაზღვრა მიგდებულია თვით ავადმყოფის კეთილს ნების-ყოფაზე, იგი ამოდის აბაზანიდან და ტალახისაგან მოლიპულს იატაკზე ფრთხილის ბიჯებით მიდის იმ ალაგისაკენ, რომელიც დანიშნულია ტალახისაგან ტანის გასაბანად. მკითხველი იფიქრებს, ეს ალბათ შხაპი (დუში) იქნება, თუნდაც მარტივის მოწყობილობისაო. არა: ეს არის მოსრული აბაზანა (ვანა), რომელშიაც მუშა ჯერ ჩაუშვებს ცივს წყალს, შემდეგ კი უმატებს იმდენ ცხელს, რამდენიც მას მოეხასიათება: ტალახის მოსაბანად დანიშნული წყალი ზოგჯერ ცივია, ზოგჯერ ნელ-თბილი და ზოგჯერ კი ცხელიც; ამისი სითფო განსაზღვრული არ არის და ამ გარემოებას არავინ აქცევს ყურადღებას. ავადმყოფი ჩერდება აბაზანის წინ, მუშა კი იღებს წყალს დოსტაქნით („კრუჟკით") და ასხამს თავსა და სხეულზე ტალახის მოსაბანად. რადგანაც წყლიანი აბაზანა სდგას სწორედ ზედ კარების გვერდით, რომლებიც წამდაუწუმ იღება, ცხელი ტალახიდან ამოსულს ავადმყოფს ხვდება გარეთა ჰაერის ცივი შუქი; ასეთსავე შუქის ბერვას განიცდის იგი ქვევიდან, იატაკის ჭუჭრუტანებიდან, სინამ მიაღწევს ტანთგასახდელად დანიშნულ ტახტებამდის; აქ ავათმყოფი ბოლოს იცვამს ტანზე და მიეშურება ბინისკენ, სადაც ლამობს ფიზიკურსა და სულიერს მოსვენებას.

ექიმი **დიმ. ერისთავი.**
(დასასრული იქნება)

— —

**ს. სტეფან წმინდა** (დუშეთის მაზრა), აქ მოსავალს კარგი პირი უჩანს. მოდის მხოლოდ ქერი და კართოფილი, ისიც ცოტა. მკითხველებმა უკვე იციან, რომ დიდი მამულის პატრონს თავისი მოსავალი ეყოფა მხოლოდ ოთხთვეს. დანარჩენ დროს კი სიმინდს კავკავიდან ეზიდებოდა. მაგრამ დღეს მოხევეები ამ იმედს მოკლებული არიან რადგანაც კავკავის და მის გარშემო მცხოვრებთაც შიმშილი მოელით. ამიტომ იქიდან სიმინდის გამოტანა ძნელია.

მოხევეებმა ამ უკანასკნელად იწყეს ცგადასახლება საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში.

წინათ თფილისშიც იშვიათად ცხოვრობდა მოხევე დღეს კი ბევრი მათგანი ცხოვრობს იქ—მუშაობს სახელმწიფო თუ საზოგადო დაწესებულებებში.

ხევში გაჭირვებაში არიან ისინი, ვისაც არა ჰყავს საქონელი ან არაჰყავს მუშა ცხენი და ობოლ-ქვრივები აი სწორეთ ამათ უნდა საჩქარო დახმარება სიმინდით ან ქერით. და თუ ეს დახმარება გადაეცემა თემის გამგეობას, არ მოხდება ისეთი დანაწილება, როგორიც წინეთ: სიმინდი დაურიგდა შეძლებულ გლეხებს ოთხი თუმნის მოგებით, ეხლა კი უნდა უნდა მიეცეს გაჭირვებულთ ღირებულ ფასებში.

ხევში ს. სტეფანწმინდა ითვლება ცენტრად, სადაც არის რაიონული სახალხო გვარდიის შტაბი, ჯარის ნაწილის შტაბი, ფოსტა-ტელეგრაფი, ერობა და სხვა კულტურული დაწესებულებები

როგორც ვიცით გამგეობის ზოგიერთ წევრებს აზრათ აქვთ ერობა თავის ყველა დაწესებულებებით გადაიტანოს სიონში, (9 ვერსტზეა) რაც არავითარი სარგებლობას არ მოუტანს ხალხს.

ს. ყაზბეგში ყველა მხრიდან გროვდება მგზავრები. კავკავიდან, თფილისიდან და სოფლებიდანაც.

ამიტომ საჭიროა აქ დარჩეს ადმინისტრაცია და თვითმ-რთველობა, ამას მოითხოვს რესპუბლიკის ინტერესები და ესევე სურს ხალხის უმრავლესობას. თუ რომელიმე სოფელი დაშორებულია ს. ყაზბეგს აი ამისთანა სოფლებისათვის სამაზრო ერობის ხმოსანთა ყრილობამ დაადგინა შემდეგი: სადაც თემის გამგეობიდან დაშორებულია რომელიმე სოფელი, აირჩიოს ხალხმა ეგრეთ წოდებული სოფლის თავი. ეს იქნება აღჭურვილი უფლებებით, მიეცემა ჯამაგირი და ემსახურება სოფელს. აგრეთვე უნდა იყოს დროებით მოძრავი სასამართლო. ხმოსანთა შორის უნდა აირჩიონ სამი მოსამართლე, რომლებიც კვირაობით მივლენ იმ სოფელში, რომელიც დაშორებულია და გაარჩევენ უბრალო საჩივრებს, რომელიც არ შეეხება სისხლის სამართალს. აი ამის შემდეგ, ჩემის აზრით სიონში ან სხვაგან ერობის გადატანა იქნებოდა უსარგებლო.

ამას იმედია უსათუოდ მიექცევა სათანადო ყურადღება და ყველა დაწესებულება დარჩება თავის ალაგას.

მოხევე.

## წერილი რედ. მიმართ

„ერთობის" მე 169 ნომერში მოთავსებული იყო წერილი შესახებ გ. გ. ადელხანოვის სააქციონერო საზოგადოებისა, კავშირის მდივნის დ. ბუაჩიძის ხელმოწერით. წერილის ავტორი ბრალსა სდებს საზოგადოების გამგეობას, ვითომ უკანასკნელმა განგებ შემოკლა ჩვენი წარმოებათა მუშაობა და მის მოღვაწეობას ხსნის ისე, როგორც სახელმწიფო ღალატს.

გამგეობა საჭიროდ სთვლის აცნობოს იმ პირთ, რომელნიც დაინტერესებულნი არიან ჩვენი საზოგადოების საქმეებით, რომ უკანასკნელ წლებში, რომელ ხანაზედაც ლაპარაკობს ბ. ბუაჩიძე თავის წერილში, ყველა შეკვეთილები („ზაკაზები"), განურჩევლად სამხედრო უწყების, სახალხო გვარდიისა და სხვა მრავალ დაწესებულებათა სრულდებოდა წესიერად და დროზე.

სააქციონერო საზოგადოების გამგეობა არ. მილოვი.

## ცნობები

**იოსებ ციბაძეს** სთხოვენ საჩქაროთ შემოიაროს დიდი მთავრის ქუჩა № 76 **სამხედრო სააფთიაქო საწყობი.**

რედაქტორი **ლევან ნათაძე.**

## განცხადებანი

20 აგვისტოს 1920 წ.
**დაკარგე**
ქოლგა (ზონტიკი) მნახველს ვსთხოვ მომიტანოს რისთვისაც მიიღებს კარგ ჯილდოს, მისამართი: რიკეტნი შესახვევი № 17, მე-2 კომისარიატი. იკითხეთ აბულაძე.
(2734—1—1)

**15.000 მან.**
იყიდება 9 პარტა, მაგიდა, დაფა, ლინოლეუმი და ტანისამოსის ჩამოსაკიდი. პლეხანოვის ქ. 25 მაჩაიძის ბინ. (შესავალი ალექსის ქ. № 5) 9—11 ს.
(2733—2—1)

**კბილებს**
ძველს, ხელოვნურს კარგი ღირსებისას
**ვყიდულობ მაღალ ფასებში**
პეტროგრადის ქ. № 3 გოლდფერტი შესასვლელი ბაპტისტების სამლოცველო სახლის ქვედა სართულში მარცხნივ.
(2686—3—3)

**სამკურნალო**
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
**მიხეილ ბედევანიშვილისა**
დღისით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ვერაზე. (2458—თ.)

ექიმმა
**ნიკოლოზ მახვილაძემ**
განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე დილის 8—9-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად.
(თ. 2528)

თ ბ უ რ გ ე თ შ ი
ექიმი
**ს. ვ. აბაშიძე**
ღებულობს ავადმყოფებს შინაგან სენით, (გულის, ფილტვების და კუჭ-ნაწლევის) სიფილის შეხაპუნება „914 და 606".
კ. სიამაშვილის სახლში.
(თ. 2634.)

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო ჰოსპიტალი—ექიმი
**ი. გ. ქუთათელაძე**
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავათმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის (ქოთაოს) საპს ვიკვლევ მალეინის შეხაპუნებით. ჭიით ცხვრის სასულე—მილის ავათმყოფობას ვქიმობ Neimann-ის და Vessel-ის მეთოდებით. ყოველ დღე 3—6 საათ. ბელინსკის ქ. № 39, ბინა 2. (2010—15—1)

ექიმის
**ი. ა. ტერ-ოვაკუმოვი**
გადავიდა კიროჩნი ქუჩიდან მიხეილის პრ. № 23 ვარანცოვის ძეგლის ახლოს და განაახლა ავათმყოფების მიღება. სპეციალურად **სიფილისი**, ვენერიული ავათმყ. (გაძნელებული და ქრონიკული ტრიპერი) და კანის ავათმყ. („606" და 914 შეხაპუნებით) ავათმყ. მიღება დილის 12—2 საათ. და საღამოს 6—8 ს. ქალების საღამოს 5—6 საათ.
(თ. 2577)

ექიმი
**პ. გ. ვართანოვი**
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606" და „914" შეხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ.
(2264—თ.)

ექიმი
**გ. ი. ოქროპირიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქ. № 22, [illegible]

ექიმი
**ნ. ა. არუთინოვი**
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). ნოვო-ბებუთოვის ქ. № 5. სასახლის უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით. (პარალელურად). მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. (2722-თ.)

დოქტორი
**გ. ბ. მებრაბიანცი**
შინაგანი ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე.
(1796—თ.)

ექიმი **ივ. ბოკერია**
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141 სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ ქირურგ., ქალის სნეულებანი და [illegible] შერო. 1—2 ს. და 5—6 საათამდე ტელეფონი 5—97. (1835—თ.)

ექიმი
**ე. ი. პალანდაძე**
ღებულობს. შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე ვენერიული, სიფილისით (წამ. „606" და „914"), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს.
(2446—თ.)

ექიმი
**ხოლომონ იასაის ძე ვოლოვი**
(ქუთაისიდან)
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგის ქ. № 5. ტელეფ. 10—56
(1742—თ.)

ექიმი
**ნ. ლ. ტურიაშვილი**
იღებს საბებიო, ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევისა, შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ს. ჩერქეზოვის ქუჩაზე № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (თ. 2539)

ექიმი **ა. დ. კეკელია**
სპეციალურად: სიფილისი (შეხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე" პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 1838—თ.

ექიმი **ლ. ა. სარალიძე**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდის ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ტელეფონი 3—19. ავჭალის აუდიტორიის ახლოს.
(2383—თ.)

ექიმი
**ჯუნჯის იასაის ძე ვოლოვი**
(ქუთაისიდან)
ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 75 (მიხეილის). ტელეფონი 7—38. (1741—თ.)

ექიმი **მ. ა. შაფრანი**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეხაპუნება „606" და „914"), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. [illegible] ქ. № 33. (1289—25—4)

**შემთხვევით იყიდება**
ახალგაზრდა ზავოდის ერთი
**ფულლი ხარები**
იკითხეთ მოსკოვის ქ. № 1, სასადილო გემოში.
(2730—1—1)

**სახლი**, მამული, აგარაკი, სავაჭრო დაწესებულება და ყოველგვარი საფასეულობები შესაძლებელია სწრაფად და ხელსაყრელ ფასებში **იყიდოთ და გაყიდოთ**
**ინტელიგენტთა ჯგუფის** დახმარებით, რომელსაც აქვს მოწყობილი დიდი კლიენტურა. დავითის ქ. 3, ბინა 2, გოლოვ. პრ. კუთხეში.
(2732—1—1)